პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 11 ივნისი, 1947 წ. № 116 (7900). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დიდი მოვლენა ქართველი ხალხის იდეურ ცხოვრებაში. მოწინავე (1-ლი გვერდი).
დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად (1-ლი გვერდი)
გიორგი ჯიბლაძე — შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნიმუში (მე-2 გვერდი).
ი. ვეკუა — ქართველ მათემატიკოსთა დიდი წარმატების მაჩვენებელი (მე-3 გვერდი).
იასე ცინცაძე — ისტორიული მეცნიერების [illegible] წიგნი (მე-3 გვერდი).
ალექსი ერიომინი — ამურის კომსომოლსკი 15 წლისაა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

დიდი მოვლენა ქართველი ხალხის იდეურ ცხოვრებაში

ქართულ ენაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი. ეს ტომი შეიცავს ამხანაგ სტალინის მიერ 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე დაწერილ ნაშრომებს. ისინი დაწერილია უმთავრესად იმ პერიოდში, როცა ამხანაგი სტალინი რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, ამიერკავკასიაში.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შესული თითქმის ყველა ნაშრომი ქართულ ენაზეა დაწერილი. ისინი იბეჭდებოდა 1901-1907 წლების ბოლშევიკურ გაზეთებში ან ცალკე ბროშურებად და ფურცლებად. პირველი ტომის ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ამ ტომის ქართულ გამოცემაში არსებითად უცვლელად არის გადმობეჭდილი გაზეთებში და ცალკე ბროშურებად გამოქვეყნებული ნაშრომები ავტორის მიერ ნებადართული შესწორებებით, რომლებიც შეეხება უმთავრესად ბეჭდვის არალეგალური პირობებით გამოწვეულ კორექტურულ შეცდომებს, შემდგომ პერიოდში დადგენილ ქართულ ტერმინებს და აგრეთვე ზოგიერთი სიტყვის ახალ მართლწერას. გათვალისწინებულია ის უმნიშვნელო რედაქციული ხასიათის ცვლილებებიც, რაც ავტორმა რუსულ გამოცემაში შეიტანა. ნაწილობრივ ცვლილება შეეხო რუსული და უცხო წყაროებიდან ციტირებული მასალის ავტორისეულ თარგმანს, რაც გამოწვეულია ორიგინალთა შემდგომი გამოცემების განსხვავებით იმ გამოცემებთან შედარებით, რომლებითაც ამხანაგი სტალინი სარგებლობდა“.

თხზულებათა პირველ ტომში შესული ნაშრომები იწერებოდა მაშინ, როცა ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით საფუძველი ეყრებოდა ახალი ტიპის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას, როცა მუშავდებოდა ამ პარტიის იდეოლოგია, ორგანიზაციული და ტაქტიკური პრინციპები.

ეს ნაშრომები იწერებოდა მაშინ, როცა ამხანაგი სტალინი ამიერკავკასიაში სხვადასხვა ანტიმარქსისტულ, ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჰქმნიდა ლენინურ-ისკრულ, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, სათავეში ედგა რევოლუციურ მოძრაობას და წარმართავდა მას თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის ნაშრომები იძლევიან რევოლუციური მოძრაობისა და ახალი ტიპის პარტიის შექმნის ამოცანების მარქსისტულ-ლენინურ გადაწყვეტას, ასაბუთებენ, იცავენ, ავითარებენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

თავის გენიალურ ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, რომელიც ამ 40 წლის წინათ დაიწერა, ამხანაგი სტალინი ამბობს:

„უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ, რომ პროლეტარული სოციალიზმი არ არის უბრალო ფილოსოფიური მოძღვრება. ის პროლეტართა მასის მოძღვრებაა, მათი დროშაა, რომელსაც პატივსა სცემს და „ეთაყვანება“ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. მაშასადამე, მარქსი და ენგელსი არიან რომელიმე ფილოსოფიური „სკოლის“ არა უბრალო მამამთავრები — ისინი ცოცხალი ბელადებია ცოცხალი პროლეტარული მოძრაობისა, რომელიც დღითიდღე იზრდება და ძლიერდება“ (თხზულებანი, ტ. I, გვ. 328).

მარქსისა და ენგელსის საქმის გენიალური განმგრძობნი ლენინი და სტალინი ასევე „ცოცხალი ბელადებია ცოცხალი პროლეტარული მოძრაობისა“ და არა „რომელიმე ფილოსოფიური“ „სკოლის“ მიმდევარნი. ამხანაგ სტალინის, ისევე როგორც ლენინის, ყველა ნაშრომი ემსახურება ჩვენი პარტიის, მუშათა კლასის, რევოლუციური მოძრაობის წინაშე წამოჭრილი საკვანძო საკითხების გადაწყვეტას. ასეთია ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შეტანილი ყველა ნაშრომი, დაწყებული არალეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ მოწინავით და დამთავრებული გენიალური ნაწარმოებით — „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“. ამ ნაშრომებში გაშუქებულია ბოლშევიკური პარტიის შექმნის, მისი იდეოლოგიის, ორგანიზაციისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

პირველ ტომში შეტანილი ნაწარმოებებიდან ჩანს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა ამხანაგი სტალინი არალეგალური პრესის როლისა და მნიშვნელობის, მისი შექმნის საკითხს, მიაჩნდა რა გაზეთი რევოლუციური მუშაობის ერთ უმთავრეს იარაღად. ამხანაგ სტალინის განსაზღვრით გაზეთი სათავეში უნდა ედგეს რევოლუციურ მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას, აცილებდეს თავიდან შეცდომებს, ახლოს იყოს მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი. გაზეთის როლისა და ამოცანების ეს განსაზღვრა ბევრ რამეს გვავალებს ჩვენ, პრესის მუშაკებს.

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის საკითხს, რევოლუციური თეორიისა და მუშათა მოძრაობის შეერთების საკითხს. თავის შესანიშნავ ნაშრომებში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „პასუხი სოციალ-დემოკრატს“ და სხვ. ამხანაგი სტალინი ბრწყინვალედ იცავს და ავითარებს ლენინის დებულებას იმის შესახებ, რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც“, რომ პარტიის ამოცანაა შეაერთოს მეცნიერული სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა.

ამხანაგი სტალინი იცავს და ასაბუთებს ლენინურ იდეას ახალი ტიპის პარტიის შექმნის შესახებ, ამუშავებს ამ პარტიის არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ ორგანიზაციულ საფუძვლებსაც. პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის გამო დაწერილ სტატიაში „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“ ამხანაგი სტალინი გამოდის ლენინის პოზიციის თავგამოდებულ დამცველად, ებრძვის მენშევიკების ოპორტუნიზმს, ოსტატურად ასაბუთებს ისეთი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობას, რომლის წევრთა სიტყვა და საქმე ერთია.

ამხანაგი სტალინი შესანიშნავად ასაბუთებს პარტიის თეორიასა და პროგრამას ნაციონალურ საკითხში, გამანადგურებლად აკრიტიკებს პროლეტარიატის ეროვნული გამიჯვნის პრინციპს, იცავს პროლეტარიატის პარტიის მშენებლობის ინტერნაციონალურ პრინციპს. უკვე ამ პერიოდში ამხანაგი სტალინი გვევლინება ნაციონალური საკითხის დიდ თეორეტიკოსად.

ამხანაგი სტალინი დიდი ოსტატობით იცავს პარტიის ლენინურ სტრატეგიასა და ტაქტიკას რუსეთის პირველ რევოლუციაში, ასაბუთებს პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას, რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად აცხადებს ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატს, ხოლო მის ბუნებრივ მოკავშირედ გლეხობას, სათავეში უდგას პარტიის ბრძოლას შეიარაღებული აჯანყების ლენინური იდეის განხორციელებისათვის, ამზადებს მასებს თვითმპყრობელობის დასამხობად და დროებით რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობისათვის.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მუშათა კლასის აშკარა და ფარულმა მტრებმა გააძლიერეს შეტევა ჩვენი პარტიის თეორიული საფუძვლების — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ. პარტიის თეორიული საფუძვლების დასაცავად გამოვიდნენ დიდი ბელადები ლენინი და სტალინი. ლენინმა თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და სტალინმა თავის სტატიებში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ბრწყინვალედ დაიცვეს და განავითარეს ჩვენი პარტიის თეორიული საფუძვლები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომს წითელი ზოლივით გასდევს მოწინავე იდეების როლისა და მნიშვნელობის დასაბუთება პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ საზოგადოების განვითარების მთავარი ძალაა არა იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებანი, პოლიტიკური დაწესებულებანი, როგორც ამას ამბობდნენ იდეალისტები, არამედ მისი ცხოვრების მატერიალური პირობები, მისი ეკონომიკა. მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ კომუნიზმის გამარჯვების აუცილებლობა ემყარება არა გამოჩენილ პიროვნებათა „კეთილ სურვილებს“, არა „გონების“, „საყოველთაო მორალისა“ და სხვ. მოთხოვნებს, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების კანონზომიერებებს. მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ საზოგადოების სულიერი ცხოვრება მისი მატერიალური ცხოვრების პირობების ასახვას წარმოადგენს, რომ ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ მათი საზოგადოებრივი ყოფიერება — მათს ცნობიერებას. მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ იმასაც, რომ იდეები, თეორიები, პოლიტიკური დაწესებულებანი, რაკი ისინი მატერიალური ცხოვრების პირობების საფუძველზე წარმოიშვებიან, შემდეგ თვით ახდენენ გავლენას ეკონომიურ ბაზისზე, მაგრამ საკითხის ამ მხარის დამუშავებისათვის მათ განსაკუთრებული ყურადღება არ დაუთმიათ.

ლენინმა და სტალინმა განავითარეს და გააღრმავეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება, ყოველმხრივ დაამუშავეს იდეების, თეორიების როლი საზოგადოებრივ განვითარებაში. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ახალი საზოგადოებრივი იდეები, აღმოცენდებიან რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების ახალი ამოცანების საფუძველზე, უაღრესად სერიოზულ ძალად ხდებიან, რომ მათი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მუშაობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა. აქედან გასაგები ხდება ის დიდი ყურადღება, რასაც ლენინი და სტალინი უთმობდნენ მეცნიერული სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის შეერთების საკითხს.

ლაპარაკობს რა მეცნიერული სოციალიზმის იდეების წარმოშობის ობიექტური პირობების შესახებ, ამხანაგი სტალინი ასაბუთებს, რომ ამ იდეათა აღმოცენებისათვის აუცილებელია კაპიტალიზმის, მუშათა მოძრაობის არსებობა.

ლაპარაკობს რა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შემუშავების შესახებ, ამხანაგი სტალინი ასაბუთებს, რომ ამ საქმეს ასრულებენ მხოლოდ მეცნიერებას დაუფლებული ადამიანები, რომ მუშა, სანამ ის მუშად რჩება, დამოუკიდებლად მეცნიერული სოციალიზმის თეორიას ვერ შეიმუშავებს.

ლაპარაკობს რა მეცნიერული სოციალიზმის თეორიისა და მუშათა მოძრაობის შეერთებაზე, მუშათა მოძრაობაში მეცნიერული სოციალიზმის იდეების შეტანაზე, ამხანაგი სტალინი ასაბუთებს, რომ ამ საქმეს ასრულებს პარტია, ასრულებენ პროლეტარიატის მსოფლმხედველობის საფუძველზე მდგომი ინტელიგენტები მოწინავე მუშებთან ერთად.

ლენინისა და სტალინის მოძღვრებას მოწინავე იდეების როლის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ სტიქიურ მოძრაობაში შეიტანა სოციალისტური შეგნება, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და გლეხთა მასებმა მიაღწიეს გამარჯვებას კაპიტალისტებზე და მემამულეებზე, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკურ პარტიას შექონდა ხალხში მოწინავე იდეები, საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები ახალი, სოციალისტური საზოგადოების აგებისა და მისი შინაური და გარეშე მტრებისაგან დაცვისათვის ბრძოლაში. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი პარტია განუხრელად ზრდის ხალხს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე, ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის ბრძოლაში. ამხანაგ სტალინს ეკუთვნის შესანიშნავი სიტყვები: „დიადი ენერგია მხოლოდ დიადი მიზნისათვის იბადება“. ამ დიად მიზნებს ჩვენ გვისახავს დიდი სტალინი. ამხანაგ სტალინის ბრძნული იდეების შეტანა მასებში, მათი დარაზმვა ამ იდეების განსახორციელებლად — აი რა წარმოშობს საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობას შრომისა და ბრძოლის ფრონტებზე.

ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი ტომის ქართულ ენაზე გამოსვლა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი ხალხის იდეურ ცხოვრებაში. ამხანაგ სტალინის ნაშრომები მძლავრი იარაღია ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლისათვის. ეს ნაშრომები პარტიისა და ხალხის კომუნისტური აღზრდის სადღეისო ამოცანების გადაწყვეტის მძლავრი საშუალებაა.

ამოუწურავია ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შეტანილი ნაწარმოებების იდეური შინაარსი. ეს ნაწარმოებები აშუქებენ ჩვენი იდეოლოგიის მრავალ უმნიშვნელოვანეს საკითხს. ამ ნაწარმოებთა შესწავლა საზოგადოების განვითარების კანონების დაუფლების, ჩვენს წარსულში, აწმყოსა და მომავალში გარკვევის მძლავრი საშუალებაა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი რუსულ ენაზე გამოვიდა, სერიოზული მუშაობა ჩაატარეს მის შესასწავლად. ქართულ ენაზე ამ ტომის გამოსვლა ხელს შეუწყობს დაწყებული მუშაობის გაღრმავებას და გაფართოებას. მშრომელთა ახალ-ახალი ათასები და ათიათასები დიდი ინტერესით შეუდგებიან ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შეტანილი ნაწარმოებების უმდიდრესი იდეების შესწავლას.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება ი. ბ. სტალინის ნაშრომების შემსწავლელთადმი, ხელი შეუწყონ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული კადრების, ჩვენი ინტელიგენციის შეიარაღებას მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ სრულიად საკავშირო საზოგადოებაში

9 ივნისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით შედგა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ი. მუსხელიშვილმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ვ. პალადინმა, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. რ. ჟებრაკმა, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პ. ი. ვალესკალნმა.

სხდომამ დაამტკიცა უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლატვიის, ყაზახეთის, კარელია-ფინეთის რესპუბლიკების საზოგადოებათა და ლენინგრადის, ყაზანის, ნოვოსიბირსკის განყოფილებათა საორგანიზაციო კომიტეტების შემადგენლობა.

შეიქმნა კომისია საზოგადოების სრულიად საკავშირო ყრილობის მოსამზადებლად, რომელიც ივლისის დამდეგს შესდგება. (საქტაგი).

თეატრალური თვითმოქმედი ხელოვნების სპექტაკლების სრულიად საკავშირო დათვალიერება

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ გადასწყვიტა ქალაქებში, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების ცენტრებში მოაწყოს თანამედროვე საბჭოთა თემებზე მუშათა და მოსამსახურეთა თეატრალური თვითმოქმედი ხელოვნების სპექტაკლების დათვალიერება. დათვალიერებას ჩაატარებენ პროფესიული კავშირები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტთან ერთად 1947 წლის ნოემბრამდე.

პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების რეპერტუარი. ამ კოლექტივების მონაწილეებისათვის უნდა მოეწყოს სისტემატური სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და მათ დასახმარებლად მოზიდულ იქნან თეატრის ოსტატები.

დათვალიერების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საბჭოთა თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეები, მსახიობები, დრამატურგები, კლუბების მუშაკები. საორგანიზაციო კომიტეტს მეთაურობს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. შულგა. (საქტაგი).

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

9 ივნისის ნომერში „პრავდა“ აღნიშნავს რუსთაველის თეატრის გუშინდელი სპექტაკლის — „დიდი ხელმწიფე“ — თვალსაჩინო წარმატებას. გაზეთი სწერს, რომ თეატრმა შექმნა დიდი იდეურ-მხატვრული მნიშვნელობის სპექტაკლი. მსახიობთა კოლექტივის თამაში, მხატვარ ვირსალაძის მიერ შესრულებული გაფორმება, კომპოზიტორ ტუსკიას მუსიკა მაღალ მხატვრულ დონეზეა.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სპექტაკლი დიდი წარმატებით ჩატარდა, რომ მაყურებლებზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ხორავას მშვენიერმა თამაშმა.

* * *

9 ივნისს რუსთაველის თეატრმა მეორეჯერ უჩვენა მოსკოველებს სოლოვიოვის დრამა „დიდი ხელმწიფის“ თავისი დადგმა. ეს სპექტაკლიც ისეთივე წარმატებით ჩატარდა, როგორც პირველი. მაყურებელთა დარბაზი მხურვალედ მიესალმა მთავარი როლების შემსრულებლებს, განსაკუთრებით ა. ხორავას—მეფე ივანე მრისხანის როლში. ა. ხორავას თამაშმა, რომელიც აღსავსეა დიდი დრამატიზმით, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე.

8 ივნისის „ვეჩერნაია მოსკვა“ სწერს, რომ თეატრის კოლექტივმა შესძლო დამაჯერებელი, მართალი სპექტაკლის შექმნა. მოსკოველი ხელოვნების მუშაკები დიდი ქებით აფასებენ უკვე დადგმულ ორ სპექტაკლს — „სადგურის უფროსსა“ და „დიდ ხელმწიფეს“. სსრ კავშირის სახალხო არტისტი იაბლოჩკინა ამბობს: „რუსთაველის თეატრის სპექტაკლები კარგად შეწყობილი თეატრალური კოლექტივის დიდ შემოქმედებითს მიღწევას წარმოადგენს. ზედიზედ ორი დღე შეუნელებელი ყურადღებით ვუცქერდი სცენაზე გაშლილ მოქმედებას და ეს ორი დღე ჩემთვის დიდი დღესასწაული იყო“.

10 ივნისს მოსკოველები ნახავენ თეატრის მესამე დადგმას—ჩირსკოვის პიესას „გამარჯვებულნი“. მოსკოვში დიდი მოუთმენლობით ელიან შემდეგი ორი სპექტაკლის—„ხევისბერი გოჩას“ და „ოტელოს“ ნახვას.

სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრში, სადაც მიმდინარეობს რუსთაველის თეატრის გასტროლები, მოწყობილია თბილისში გამოცემული პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გამოფენა.



ი. ბ. სტალინის თხზულებათა I ტომი.

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად

ტყვარჩელელ მეშახტეთა წარმატება

ტყიბულელ მეშახტეებთან ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში ტყვარჩელელმა მეშახტეებმა მაისში თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულა და წინა თვეებთან შედარებით მნიშვნელოვნად გააფართოვა სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ფრონტი.

მარტსა და აპრილთან შედარებით მაისში მუშაობა გააუმჯობესა ბერიას სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც თვიური დავალება 103,2 პროცენტით შეასრულა. ამ შახტის ინჟინერ მ. აგუმავას უბანმა მუშაობაში სტახანოვური განრიგის დანერგვით გეგმა 121,6 პროცენტით გაანაღდა.

სტალინის სახელობის შახტის ამხ. ა. მალცევის უბანმა ქვანახშირის ამოღებისა და დატვირთვის დავალება 117 პროცენტით შეასრულა, ამხ. ბაბაჯიანოვის უბანმა — 112,4, ხოლო ა. ჭირაქაძისამ — 109,9 პროცენტით.

მეშახტეებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვასილ ჟიტნიკოვი, რომელმაც ოთხ თვეში 188 პროცენტით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა, ხოლო მაისში ორი თვის დავალება გაანაღდა. ჩქარი გათხრის ოსტატმა მ. ალაბიევმა, მბურღავმა მ. ისტომინმა და მნგრეველმა ფ. ველიჩკომ 5 თვეში 9 თვის გეგმები შეასრულეს. დაწინაურდნენ აგრეთვე მე-8 უბნის ფ. პინდიურინის და ზ. ქიბას ქვანახშირის მნგრეველთა ბრიგადები, რომლებიც გეგმით გათვალისწინებული 11 ტონის ნაცვლად ცვლაში 20-25 ტონა ქვანახშირს იძლევიან.

ხ. შონია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

იზრდება ქუთაისის მოწინავე საწარმოთა რიცხვი

ქუთაისის მოწინავე საწარმოთა რიცხვში მტკიცედ ჩადგა ტყავფეხსაცმლის კომბინატი (დირექტორი გ. დალაქიშვილი), რომელმაც 5 თვეში ნახევარი წლის გეგმა 8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 23.500 წყვილი ფეხსაცმელი. მაისში კომბინატის კოლექტივს სახელმწიფო გეგმის მიხედვით უნდა გამოეშვა 18.650 წყვილი ფეხსაცმელი, სტახანოვური განრიგის მიხედვით—19.000 წყვილი, ხოლო ფაქტიურად გამოშვებულია 22.960 წყვილი. ამასთან შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 27,4 პროცენტით და თვითღირებულება შემცირებულია 2,3 პროცენტით.

მასობრივი ფეხსაცმლის შემკერავი საამქროს მეორე და მესამე ბრიგადებმა, რომლებიც მატროსოვული მეთოდით მუშაობენ, 5 თვეში ათ-ათი თვის გეგმები შეასრულეს. თვით ბრიგადირები ნ. აბულაძე და ი. კუბლაშვილი დღეში სისტემატურად ორ-ორ ნორმას ასრულებენ.

საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც უკვე გამოასწორა პირველი თვეების ჩამორჩენა და 5 თვის დავალება 110,7 პროცენტით შეასრულა. ყველაზე მეტ წარმატებებს აღწევს შაბიამნის საამქრო (უფროსი ა. ოყრომიძე).

მოწინავე საწარმოთა წყებაშია აბრეშუმკომბინატიც (დირექტორი დ. თოთიბაძე). ქსოვილთა გამოშვების 5 თვის გეგმა აქ შესრულებულია 102,5 პროცენტით, აბრეშუმის ნართისა — 105,9 პროცენტით, ნაგრეხი აბრეშუმისა—127,1 პროცენტით, გრეჟისა — 102,7 პროცენტით.

აპრილსა და მაისში მუშაობა გააძლიერა ბამბეულის საქსოვმა ფაბრიკამ. მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების 5 თვის გეგმა შეასრულა 111,7 პროცენტით, მზა ნაწარმის გამოშვებისა—107 პროცენტით, ხალიჩებისა—110,7 პროცენტით, ხამი ქსოვილებისა—104,8 პროცენტით.

ასევე მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც 5 თვეში ნახევარი წლის დავალება 145,5 პროცენტით გაანაღდა.

ზ. მეფისაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

სოხუმის მრეწველობამ ხუთი თვის გეგმა შეასრულა

ქალაქ სოხუმის საწარმოებმა 5 თვის გეგმა 106 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მაისისა — 113,7 პროცენტით. ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს 1.751.400 მანეთის პროდუქცია, რითაც 5 თვის გეგმას 18,5 პროცენტით გადააჭარბეს. სარეწაო არტელებმა 1 ივნისისათვის მოგვცეს 4.842.500 მანეთის ფართო მოხმარების საქონელი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი რომელმაც 5 თვის დავალება 114,3 პროცენტით გაანაღდა, ხოლო მაისისა — 135,4 პროცენტით. ხუთ თვეში ფაბრიკამ გამოუშვა 320 მილიონი ცალი პაპიროსი. ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა მაისში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 4 ათასი წყვილი ფეხსაცმელი და 100 ათასი დეციმეტრი ტყავი. განვლილ პერიოდში მაღალნაყოფიერად იმუშავა აგრეთვე ქალაქის სამრეწველო კომბინატმა, რომელმაც 728 ათასი მანეთის პროდუქცია მოგვცა და 5 თვის გეგმა 17,7 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა.

შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნიმუში

ქართულ ენაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი, რომელშიც მოთავსებულია ამხანაგ სტალინის მიერ 1901 წლის სექტემბრიდან 1907 წლის აპრილამდე დაწერილი ნაწარმოებები. თითქმის ყველა ეს ნაწარმოები ქართულ ენაზე იყო დაწერილი. მიუხედავად ამისა, ქართული გამოცემის სარედაქციო კომისიას მეტი მუშაობა მოუხდა, ვიდრე თარგმანი საჭიროებს, ვინაიდან შესასრულებელი იყო ისეთი სამუშაოები, როგორიცაა: მაშინდელ არალეგალურ პირობებში ბეჭდვის დროს დაშვებული კორექტურული შეცდომების გასწორება, შემდგომ პერიოდში დადგენილი ტერმინების გამოყენება და ზოგიერთი სიტყვის ახალი მართლწერით ხმარება. კომისიამ აგრეთვე გაითვალისწინა „ის უმნიშვნელო რედაქციული ხასიათის ცვლილებებიც, რაც ავტორმა რუსულ გამოცემაში შეიტანა. ნაწილობრივ ცვლილება შეეხო რუსული და უცხო წყაროებიდან ციტირებული მასალის ავტორისეულ თარგმანს, რაც გამოწვეულია ორიგინალთა შემდგომი გამოცემების განსხვავებით იმ გამოცემებთან შედარებით, რომლებითაც ამხანაგი სტალინი სარგებლობდა".[1]

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შესული ნაწარმოებები, დაწყებული გაზეთ „ბრძოლის" მოწინავე წერილით და დამთავრებული ბრწყინვალე თეორიული ნაშრომით „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?", წარმოადგენს შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკურ ნიმუშს, გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა და მდიდრდებოდა მარქსისტულ-ლენინური თეორია რევოლუციურ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში, როგორ უქმნიდნენ ლენინი და სტალინი საფუძვლებს ბოლშევიკურ პარტიას, როგორ ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, როგორ იბრძოდა პარტია პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის დემოკრატიულ რევოლუციაში, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის, როგორ ებრძოდნენ ლენინი და სტალინი ლეგალურ მარქსისტებს, „ეკონომისტებს", მენშევიკებს, ანარქისტებს, ესერებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, მარქსიზმის ყველა და ყოველგვარ მტრებს და როგორ მიჰყავდათ პარტია სწორი გზით პროლეტარიატის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი ბრძოლის გიგანტური გამოცდილება გენიალურად არის განზოგადებული ლენინისა და სტალინის თხზულებებში, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის განძს წარმოადგენენ. ეს თხზულებანი ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, ჩვენს კადრებს აიარაღებენ მარქსისტულ-ლენინური თეორიით და ასწავლიან გამარჯვების ხელოვნებას.

გამარჯვების ამ დიადი ხელოვნების ოსტატურ გადმოცემას წარმოადგენს ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში მოთავსებული წერილი „რედაქციისაგან". ეს წერილი ამხანაგმა სტალინმა პირველი არალეგალური ქართული გაზეთის „ბრძოლის" მოწინავედ დასწერა. „ბრძოლა" იყო თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინურ-ისკრული ჯგუფის ორგანო, რომლის შექმნის ინიციატივა ამხანაგ სტალინს ეკუთვნის. „ბრძოლის" პირველი ნომრის მოწინავეში ამხანაგმა სტალინმა ოსტატურად ჩამოაყალიბა არალეგალური ქართული გაზეთის ამოცანა, ამით საერთოდ განსაზღვრა სოციალ-დემოკრატიული პრესის ისტორიული მისია და დაასაბუთა, რომ მებრძოლი პროლეტარიატის ბეჭდვითი სიტყვის უპირველესი მოვალეობაა სათავეში ედგეს მუშათა მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას, აცილებდეს თავიდან შეცდომებს, მოკლედ, იდგეს „რაც შეიძლება ახლოს მუშათა მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი" (გვ. 8). ამ ამოცანას ვერ შეასრულებს ლეგალური გაზეთი, რომელსაც ცენზორებად წოდებული ჩინოვნიკების მთელი ხროვა ჰყავს მიჩენილი. რაკი ისტორიამ მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი ამოირჩია კაცობრიობის განმათავისუფლებლად და ქვეყნად ბედნიერების დამამყარებლად, სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს მოეთხოვება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მებრძოლ მუშებს, „მისცეს გარკვეული პასუხი მუშათა მოძრაობით გამოწვეულ ყოველ კითხვაზე, გაარკვიოს პრინციპული საკითხები, ახსნას თეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა". ეს იყო ახალი ტიპის ჟურნალისტიკისათვის მტკიცე საფუძვლების ჩაყრა. თვით „ბრძოლა" კი გადაიქცა ლენინური „ისკრის" შემდეგ საუკეთესო მარქსისტულ გაზეთად მთელ რუსეთში. ლენინური „ისკრა" და ათი თვის შემდეგ გამოსული სტალინური „ბრძოლა" წარმოადგენდნენ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის მებრძოლ ორგანოებს, რომლებიც პროლეტარიატის ძალებს გზას უნათებდნენ მეცნიერული სოციალიზმის შუქით.

1901 წლის ნოემბერ-დეკემბერში „ბრძოლამ" მოათავსა ამხანაგ სტალინის ბრწყინვალე სტატია „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები", ისეთივე ხასიათის ნაშრომი, როგორიც არის ლენინის „რით დავიწყოთ?" ან კიდევ „რა ვაკეთოთ?". ამ ნაშრომში სოციალიზმის იდეის ისტორიულ განვითარებასთან ერთად ნაჩვენებია მეცნიერული სოციალიზმის გზა და დასაბუთებულია რევოლუციურ თეორიასთან რევოლუციური პრაქტიკის შეერთების აუცილებლობა. რა ესაჭიროება სოციალ-დემოკრატიას თავისი მიზნების მისაღწევად? ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, ორგანიზაცია პარტიისა, ძლიერი პარტიისა, რომელსაც მტკიცე პრინციპები და გაუტეხელი კონსპირაცია ექნება. ამ პარტიით მან წინ უნდა გასწიოს გამარჯვებისაკენ, არა ეკონომიური, არამედ უპირატესად პოლიტიკური ბრძოლის გზით, ვინაიდან „არსებულ პოლიტიკურ პირობებში ეკონომიურ ბრძოლას (გაფიცვებს) არ შეუძლია არსებითი რამ მოგვცეს". ისტორიამ არაერთხელ გვიჩვენა, რომ მარტოოდენ ეკონომიური ბრძოლის პირობებში საქმე ისე ეწყობა, რომ „მუშები ღველფიდან ბატი-ბუტს მხოლოდ ბურჟუაზიისთვის კრეფენ". ამიტომ საერთო დემოკრატიულ მოძრაობას საჭიროა სათავეში ჩაუდგეს თვით მუშათა კლასი. იგი კუდში კი არ უნდა მიჰყვეს მას, არამედ წინამძღოლობა გაუწიოს, ვინაიდან მუშათა კლასის განთავისუფლება, როგორც მარქსი გვასწავლის, უნდა მოხდეს თვით მუშათა კლასის ხელით. ასეთი წინამძღოლობისა და ხელმძღვანელობისათვის მუშათა კლასს ესაჭიროება „მოეწყოს **დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად**" (გვ. 31).

ამ პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები ლენინმა გენიალურად ჩამოაყალიბა წიგნში „რა ვაკეთოთ?" და ბრწყინვალედ დაიცვა ამხანაგმა სტალინმა მთელ რიგ თავის ნაშრომებში. პირველი „წერილი ქუთაისიდან" იცავს ლენინის ამ კლასიკურ წიგნს პლეხანოვის კრიტიკისაგან, ამავე დროს მკაფიოდ მიუთითებს, რომ ახლა (1904 წელს—**გ. ჯ.**) აღარ არის საკმარისი პლეხანოვისებურად ამტკიცო „საზოგადოებრივი შეგნება განისაზღვრება საზოგადოებრივი მდგომარეობით", ან კიდევ „იდეები ციდან არ ცვივა", ეს დღეს გიმნაზიელებმაც კი იციან. „ახლა ჩვენ ის გვაინტერესებს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — თუ როგორ მუშავდება ცალკე იდეებიდან იდეათა სისტემა (სოციალიზმის თეორია), როგორ კავშირდებიან ცალკე იდეები ერთ მწყობრ სისტემად — სოციალიზმის თეორიად, და ვინ ამუშავებს და აკავშირებს მათ. მასა აძლევს თავის ხელმძღვანელებს პროგრამასა და პროგრამის დასაბუთებას, თუ ხელმძღვანელები მასას?" (გვ. 56). ამავე საკითხს ეხება მეორე „წერილი ქუთაისიდან". მაგრამ მუშათა მოძრაობაში სოციალიზმის გარედან შეტანის საკითხი უფრო ვრცლად, დაწვრილებით, მეცნიერულად არის განხილული კლასიკურ ნაშრომში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" და ბრწყინვალე სტატიაში „პასუხი „სოციალ-დემოკრატს". სტიქიურობის ცნობილი მენშევიკური თეორიის გამანადგურებელი კრიტიკა ამ ნაშრომებში მჭიდროდ უკავშირდება იმის დასაბუთებას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისათვის რევოლუციურ პარტიას და რევოლუციურ თეორიას.

ლენინს არასოდეს არ უთქვამს, როგორც ამას მენშევიკები გაჰკიოდნენ, თითქოს მუშათა სტიქიური მოძრაობა ვერასოდეს ვერ მიიყვანდა პროლეტარიატს სოციალიზმამდე. პირიქით, სტიქიურ მოძრაობას, ბოლოსდაბოლოს, შეუძლია მუშათა კლასი მიიყვანოს სოციალურ რევოლუციასთან, ვინაიდან, როგორც ლენინი გვასწავლის, „მუშათა კლასი **სტიქიურად** მიილტვის სოციალიზმისაკენ", მაგრამ „ეს გზა ძალიან გრძელი და მტკივნეული იქნება", ამბობს ამხანაგი სტალინი, მას დასჭირდება კარგა ხანი, ბევრი ხეტიალი და წვალება. რა უნდა გააკეთოს მანამდე სოციალ-დემოკრატიამ? ეკონომისტებივით გულ-ხელი დაიკრიფოს, ადგილი დაუცალოს სტრუვეებსა და ზუბატოვებს, უარჰყოს თავისი თავი და გააბატონოს ბურჟუაზიული ტრედიუნიონისტური იდეოლოგია? პირიქით, მისი „ვალია სოციალისტური შეგნება შეიტანოს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში, ერთმანეთთან შეაერთოს მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი და, ამგვარად, სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მისცეს პროლეტარიატის ბრძოლას".[2] მაშასადამე, თუ მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალიზმის თეორია არ შევიტანეთ, ის აუცილებლად დაწვრილმანდება, ტრედიუნიონისტურ ხასიათს მიიღებს, ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დაემორჩილება; მეორე მხრივ სოციალიზმი უმუშათამოძრაობოდ ცარიელ ფრაზად დარჩება და მნიშვნელობას დაკარგავს. ამიტომ აუცილებელია „მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი ერთმანეთს შეუერთდეს, პრაქტიკული მოქმედება და თეორიული აზრი ერთმანეთს ჩაეკონოს და მით მუშათა სტიქიურ მოძრაობას სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიეცეს".

ასე ნათლად გვიჩვენა ამხანაგმა სტალინმა სოციალისტური შეგნების როლი მუშათა მოძრაობაში და ცხადჰყო ლენინურ შეხედულებათა სრული მეცნიერული ხასიათი. ეს თვალსაზრისი შემდგომ განვითარებულია წერილში „პასუხად „სოციალ-დემოკრატს", რომელსაც ლენინმა მაღალი შეფასება მისცა. „სტატიაში „პასუხად „სოციალ-დემოკრატს" ჩვენ აღვნიშნავთ, — სწერდა ლენინი, — ფართოდ ცნობილ „ცნობიერების გარედან შეტანის" საკითხის საუცხოო დაყენებას".

ძლიერი, მტკიცე სოციალ-დემოკრატიული პარტიის **იდეოლოგიური** საფუძვლების დაცვასთან ერთად საჭირო იყო პარტიის **ორგანიზაციული** საფუძვლების ჩამოყალიბება და დაცვა, რაც ლენინმა შეასრულა ცნობილ წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან". ამავე საკითხებს ეძღვნება ამხანაგ სტალინის შრომა „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია". ამხანაგი სტალინი იცავს მეორე ყრილობაზე პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინურ ფორმულირებას მარტოვის ფორმულირების წინააღმდეგ და გამანადგურებლად აკრიტიკებს მენშევიკურ ოპორტუნიზმს საორგანიზაციო საკითხებში. პარტია არ არის ერთეულთა შემთხვევითი გროვა; რაკი მას მიზნად დაუსახავს მებრძოლი პროლეტარიატის წინამძღოლობა, იგი უნდა იყოს მჭიდრო ორგანიზაცია, რომელიც ერთი გეგმით იმოქმედებს. პარტია წინამძღოლთა მებრძოლი ჯგუფია, მოწინავე, შეგნებული, ორგანიზებული რაზმი და ამიტომ ის პროლეტართა კლასზე მცირე უნდა იყოს თავისი რაოდენობით, ამ კლასზე მაღლა იდგეს თავისი შეგნებითა და გამოცდილებით, წარმოადგენდეს ცენტრალიზებულ, რკინისებური დისციპლინით აღჭურვილ ორგანიზაციას, რომელიც შეხედულებათა ერთიანობის ნიადაგზე აკავშირებს პარტიის წევრებს ერთ პარტიად. ვინ შეიძლება იყოს ასეთი პარტიის წევრი? ის, „ვინც პარტიის პროგრამას მიიღებს, მატერიალურად ეხმარება პარტიას და ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობს" (გვ. 72). ეს არის ლენინური განსაზღვრა, რომელიც მეორე ყრილობამ არ მიიღო, მაგრამ ამხანაგმა სტალინმა სრული იმედი გამოსთქვა, რომ მესამე ყრილობა უეჭველად გაასწორებდა ამ შეცდომას, უკუაგდებდა მეორე ყრილობის მიერ მიღებულ მარტოვის ფორმულირებას და ლენინის განსაზღვრას მიიღებდა. ამხანაგ სტალინის ეს წინასწარმეტყველება სავსებით განხორციელდა. პარტიის მესამე ყრილობამ 1905 წლის აპრილში მიიღო წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება.

თუ როგორ უნდა მოწყობილიყო ერთიანი ცენტრალიზებული პარტია მრავალეროვან რუსეთში, როგორი უნდა ყოფილიყო მარქსისტული პარტიის პროგრამა ნაციონალურ საკითხში, შესანიშნავად გაარკვია ამხანაგმა სტალინმა 1904 წელს შრომაში—„როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?"

სხვადასხვა დროს ნაციონალური საკითხი სხვადასხვა ინტერესებს, სხვადასხვა კლასებს ემსახურება. საბრძოლო მოედანზე ახალი კლასის—პროლეტარიატის გამოსვლისთანავე წამოიჭრა პროლეტარიატის ნაციონალური საკითხი. მაგრამ რა მიზანს ისახავს პროლეტარიატი თავის ბრძოლაში? ყოველი ბრძოლის მიზანი გამარჯვებაა, და ბუნებრივია პროლეტარიატის ბრძოლის მიზანიც გამარჯვებაა. რა ესაჭიროება მას გამარჯვებისათვის? ცალ-ცალკე ნაციონალურ პარტიებად დანაწილება და ასეთი პარტიების თავისუფალი კავშირის მოწყობა,—ამბობდნენ ფედერალისტი სოციალ-დემოკრატები. არსებითად ამასვე იმეორებდა „სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია". ეს იყო პროლეტარიატის ჭეშმარიტი გზიდან გადახვევის ცდა, პირდაპირ მტრის გასახარელი საქმე, როგორც შენიშნავს ამხანაგი სტალინი. ფედერალისტი სოციალ-დემოკრატები პროლეტარიატს ბასრი იარაღის მაგიერ ქანგიანს აწოდებდნენ, იმას აკეთებდნენ, რაც საქმით წყალს ასხამდა რეაქციისა და თვითმპყრობელობის წისქვილზე. ამხანაგმა სტალინმა ნიღაბი ჩამოჰგლიჯა ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიას, მის საზღვარგარეთულ ჯგუფს*), რომელშიც შედიოდნენ ნაციონალ-დემოკრატები, ესერები, ანარქისტები; ცხადჰყო მათი გამყიდველობა და ბურჟუაზიისადმი სამსახური. ფედერალისტი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ამხანაგი სტალინი იცავს პარტიის აგების ინტერნაციონალურ პრინციპს, გვევლინება ნაციონალური საკითხის უდიდეს თეორეტიკოსად, რომელიც ბრწყინვალედ ჰფლობს და იყენებს მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს. იმავე ფედერალისტი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ამხანაგმა სტალინმა ნათლად გვიჩვენა, რომ პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობაა ყველა მუშის შეერთება განურჩევლად ეროვნებისა, დანგრევა ნაციონალური კედლებისა და რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი, საერთოდ ყველა ეროვნების პროლეტართა მჭიდროდ შეკავშირება. ამხანაგ სტალინის ამ ნაშრომმა უდიდესი როლი შეასრულა ნაციონალური საკითხის მარქსისტული თეორიის შემუშავებაში. ეს იდეები შემდგომ განვითარებას პოულობენ სტალინის კლასიკურ წიგნში—„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", რომელსაც ლენინი დიდ შეფასებას აძლევს.

შეცვლილი ვითარება და მოახლოებული რევოლუცია პარტიისაგან მოითხოვდნენ ახალი ამოცანების გადაწყვეტას. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო კარს მომდგარ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ბოლშევიკური ტაქტიკის განსაზღვრა. ეს ამოცანა ლენინმა ბრწყინვალედ შეასრულა უკვდავ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ვინ იყო ამ რევოლუციის მთავარი ძალა? ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, რომელსაც წინ უძღოდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, და არა ლიბერალები, რომლებიც წვრილმანი რეფორმებით ცდილობდნენ პოლიტიკური ბატონობისაკენ გზის გაკაფვას, მეფის თვითმპყრობელობის შეცვლას ბურჟუაზიის თვითმპყრობელობით. მეფის ტახტი უკვე ირყეოდა და საჭირო იყო გადამწყვეტი შეტევისათვის მზადება. შეიარაღებული აჯანყების საკითხი პრაქტიკულად იდგა დღის წესრიგში. იმ დროს, როცა 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ მეფე აიძულა 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოსულიყო, რითაც ის ცდილობდა მოეტყუებინა ხალხის მასები, დრო მოეგო, ძალები მოეკრიბა რევოლუციის დასარტყმელად, ამხანაგი სტალინი თბილისში შემდგარ მუშათა მიტინგზე გამოვიდა სიტყვით და მოუწოდა მათ შეიარაღებისაკენ. ამხანაგი სტალინი რამდენიმე თვით ადრე სტატიაში „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია" მიუთითებდა, რომ რევოლუციას ხალხი მოახდენს, ეს ხალხი პროლეტარიატი და გლეხობაა, რომლებმაც უნდა იკისრონ რევოლუციის დამთავრება, რეაქციის ალაგმვა, ხალხის შეიარაღება, ამისათვის კი დროებით მთავრობაში მათ უნდა ჰყავდეთ თავისი ინტერესების დამცველები. „ქუჩაში პროლეტარიატი და გლეხკაცობა იბატონებს, სისხლს ესენი დაღვრიან,—ცხადია, დროებით მთავრობაშიც მათ უნდა იბატონონ". (გვ. 133). ეს იყო დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის ბრძოლის ლენინური ტაქტიკის ბრწყინვალე დაცვა. ამ სტატიას სწრაფად გამოეხმაურა ლენინი, რომელმაც ავტორს მოუწონა სამართლიანი გადაწყვეტა საკითხისა, თუ ვინ უნდა შეადგენდეს დროებით რევოლუციურ მთავრობას. მენშევიკები ამტკიცებდნენ, რომ 1905 წლის რევოლუციაში ხელმძღვანელი როლი ლიბერალურ ბურჟუაზიას ეკუთვნის, ვინაიდან ეს რევოლუცია ბურჟუაზიულიაო. ისინი მაგალითისათვის იღებდნენ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას. ამხანაგმა სტალინმა ისტორიული ფაქტების ზუსტი მეცნიერული ანალიზით გამოააშკარავა მენშევიკური მტკიცების სრული სიყალბე და ცხადჰყო, რომ თუ საფრანგეთში რევოლუციას ბურჟუაზია მეთაურობდა, რუსეთში მის ბედს პროლეტარიატი განაგებს და რაკი ხელმძღვანელი რევოლუციური ძალები გადანაცვლებულია, არ შეიძლება ერთი და იგივე შედეგი მივიღოთ ორივე კლასისთვის. მენშევიკების ულმობელი კრიტიკით ამხანაგი სტალინი მტკიცედ იცავს მესამე ყრილობის გადაწყვეტილებებს და მკვეთრად ატარებს დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას. რევოლუციის ბედი, ამბობს ამხანაგი სტალინი, არასოდეს არ ყოფილა ლიბერალიზმის ხელში. რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობა და შედეგი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან რევოლუციური პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა. და თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, ამხანაგმა სტალინმა შესანიშნავად განსაზღვრა მთელ რიგ ნაშრომებში, მათ შორის „ორ შეჯახებაში", სადაც ნათქვამია: **„მჭიდრო პარტია, პარტიისგან მოწყობილი აჯანყება და შეტევის პოლიტიკა** — აი რა გვჭირდება დღეს ჩვენ აჯანყების გამარჯვებისთვის". ამ აჯანყებისათვის რაზმავდა ამხანაგი სტალინი კავკასიის მშრომელებს, ასწავლიდა მათ, რომ რევოლუციის მთავარი სარბიელი ქუჩაა და არა სათათბირო, რომ ხალხის გამარჯვება უმთავრესად ქუჩიდან უნდა დაიბადოს, ქუჩაში ბრძოლით და არა სათათბიროდან, სათათბიროში ლაყბობით (გვ. 239). პარტიამ უნდა მოაწყოს წითელი რაზმები, გაავრცელოს ხალხში სამხედრო ცოდნა, როგორც ამას მკვეთრად მოითხოვდა ამხანაგი სტალინი ბროშურაში „დღევანდელი მომენტი და გამაერთიანებელი ყრილობა". სტალინის რევოლუციურმა მოღვაწეობამ უდიდესი შედეგი მოიტანა. „მთელ ამიერკავკასიას მოედო რევოლუციური ხანძრის ალი. ჯერ კიდევ პარტიის III ყრილობამ ლენინის მიერ წამოყენებულ რეზოლუციაში „კავკასიის ამბების გამო" ცალკე გამოჰყო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების, როგორც „ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების" მოღვაწეობა, და მთელ პარტიას მოუწოდა აღმოეჩინა მათთვის ყოველგვარი დახმარება".[3]

პარტიის მეოთხე ყრილობაზე თავის სიტყვაში „მიმდინარე მომენტის შესახებ" ამხანაგმა სტალინმა ნათლად დაახასიათა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში დასახული ორი გზა—ცრუ რეფორმების გზა და რევოლუციის გზა. პარტია უნდა წავიდეს რევოლუციის გზით. „ან პროლეტარიატის ჰეგემონია, ან დემოკრატიული ბურჟუაზიის ჰეგემონია—აი როგორ დგას საკითხი პარტიაში, აი რაში მდგომარეობს ჩვენი უთანხმოებანი",—სთქვა ამხანაგმა სტალინმა. მომავალმა სავსებით გაამართლა ლენინისა და სტალინის წინასწარხედვა; რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ წინა პლანზე სწორედ პროლეტარიატი წამოაყენა, რამაც უზრუნველჰყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ასეთი შედარებით სწრაფი გადაზრდა პროლეტარულ რევოლუციაში.

შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნიმუშია „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?", რომელიც დაწერილია ამიერკავკასიაში ანარქისტ-კროპოტკინელების აქტივიზაციასთან დაკავშირებით. ამ წიგნმა დიდად შეუწყო ხელი ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლების გამომუშავებას. მასში განსხვავებულია ორგვარი იდეოლოგია: ლიბერალიზმი — ბურჟუაზიისა, და სოციალიზმი — პროლეტარიატისა. თავის მხრივ არც სოციალიზმი და არც ლიბერალიზმი მთელი, განუყოფელი არ არის. მათში სხვადასხვა მიმდინარეობებია. მაგალითად, სოციალიზმი იყოფა **რეფორმიზმად, ანარქიზმად და მარქსიზმად.** მარქსიზმი და ანარქიზმი ერთმანეთთან სასტიკ ბრძოლას ეწევიან. ანარქისტები მარქსიზმის მტრები არიან. ისინი არ წარმოადგენენ არც ნამდვილ სოციალისტებს, ვინაიდან ქადაგებენ პაწია თემთა სოციალიზმს, და არც ნამდვილ რევოლუციონერებს, ვინაიდან უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურას. ერთიც და მეორეც სრულიად სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული. ამ სხვადასხვა პრინციპების დაპირისპირებას ახდენს ამხანაგი სტალინი, როცა თავის წიგნში განიხილავს დიალექტიკურ მეთოდს, მატერიალისტურ თეორიას და პროლეტარულ სოციალიზმს. მთელი ნაწარმოებიც ამ სამი ნაწილისაგან შესდგება.

მარქსის დიალექტიკური მეთოდის დახასიათებას ამხანაგი სტალინი იწყებს საერთოდ მარქსიზმის განსაზღვრით. „მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის თეორია, — სწერს ამხანაგი სტალინი, — ის მთელი მსოფლმხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც თავისთავად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიკური მატერიალიზმი ეწოდება". მისი მეთოდი დიალექტიკურია, ხოლო თეორია — მატერიალისტური. დიალექტიკური მეთოდი გვასწავლის, რომ „ცხოვრება არ არის ერთი რამ მუდმივი და გაყინული, ის არასოდეს არ ჩერდება ერთ დონეზე, ის მუდმივ მოძრაობასა და ნგრევა-შენებაშია, მუდმივ პროცესშია. ამიტომ არის, რომ ცხოვრებაში მუდამ არსებობს **ახალი და ძველი, მზარდი და მომაკვდავი,** რევოლუციური და კონტრრევოლუციური". დიალექტიკა ამბობს: რაც იბადება და დღითიდღე იზრდება, — უძლეველია, მისი წინმსვლელობის შეჩერება შეუძლებელია. სწორედ ასე იზრდება, მატულობს და წინ მიდის პროლეტარიატი. ამიტომ ნაროდნიკების მტკიცებას გასული საუკუნის 80-იან წლებში თითქოს რუსეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში უმთავრესი ძალა სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიაა, ვინაიდან ის უმეტესობას შეადგენსო, მარქსისტებმა უპასუხეს: მართალია, წვრილი ბურჟუაზია უმეტესობაა, მაგრამ ის, როგორც კლასი, არ იზრდება, პირიქით, თანდათან იყოფა ბურჟუებად და პროლეტარებად; ერთადერთი კლასი, რომელიც იზრდება, წინ სწევს საზოგადოებრივ ცხოვრებას, თავის გარშემო იკრებს რევოლუციურ ელემენტებს, პროლეტარიატია და მას ეკუთვნის საბოლოო გამარჯვებაც. ამხანაგი სტალინი სავსებით ნათლად გვიჩვენებს, თუ რაში მდგომარეობს ნაროდნიკების მსჯელობის მეტაფიზიკური ხასიათი, და რა დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს მარქსისტების დიალექტიკურ მიდგომას საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. მოძრაობის ორი ფორმის — ევოლუციურისა და რევოლუციურის ანალიზის შემდეგ ამხანაგი სტალინი კლასიკურად ცხადჰყოფს, რომ „ევოლუცია ამზადებს და ნიადაგს აძლევს რევოლუციას, ხოლო რევოლუცია აგვირგვინებს ევოლუციას და ხელს უწყობს მის მერმინდელ მუშაობას". ასე ხდება ცხოვრებასა და ბუნებაში. ყველგან უცილობლად სჩანს, რომ წვრილ-წვრილი, რაოდენობრივი ცვლილებები ბოლოს დიდ, თვისობრივ ცვლილებებს წარმოშობენ. ამ კანონს ყველგან ერთნაირი ძალა აქვს, მაშასადამე, არავითარი ეჭვი არ არის, რომ „დიალექტიკა სულით ძვალ-რბილში გასჯდომია დღევანდელ მეცნიერებას".

დიალექტიკური მეთოდის ღრმა მეცნიერული დახასიათების შემდეგ ამხანაგი სტალინი ააშკარავებს ანარქისტ-კროპოტკინელების წინააღმდეგობას. მათ არათანმიმდევრობას მსჯელობაში, ცხადად გვიჩვენებს, რომ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მეთოდი კი არ შეიცავს იმ ნაკლოვანებებს, რაზედაც ისინი გაჰკივიან, არამედ მათ მიერვე გამოგონილი „დიალექტიკა".

იდეალიზმისა და დუალიზმის კრიტიკული ანალიზის შემდეგ ამხანაგი სტალინი მეცნიერულად ცხადჰყოფს, თუ რაში მდგომარეობს მატერიალისტური თეორიის მონიზმი. მარქსის დებულება, რომ „ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათს მდგომარეობას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას", ამხანაგმა სტალინმა კონკრეტული მაგალითებით დაასაბუთა და გვიჩვენა იდეალური მხარის განვითარებას თუ როგორ უსწრებს წინ მატერიალური მხარის განვითარება, როცა ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ხოლო შემდეგ მის შესაფერისად იცვლება იდეალური მხარე, შეგნება. შემდეგ ამხანაგი სტალინი გვაძლევს კროპოტკინისა და საერთოდ ანარქისტების გამანადგურებელ კრიტიკას, რითაც კვლავ ააშკარავებს წინააღმდეგობებსა და სრულ ანარქიას მათს შეხედულებებში.

წიგნის მესამე თავი ეძღვნება იმ საკითხის გამორკვევას, თუ რა არის პროლეტარული სოციალიზმი.

პროლეტარული სოციალიზმი წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმის პირდაპირ დასკვნას. დიალექტიკური მატერიალიზმი კი გვასწავლის, რომ მხოლოდ იმ კლასს შეუძლია დაამსხვრიოს მონობის უღელი, რომელიც იზრდება, მუდამ წინ მიდის და მედგრად იბრძვის. ასეთი კლასია ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი. ჩვენ მოწოდებულნი ვართ მას ვემსახუროთ, მაგრამ როგორ უნდა გვესმოდეს ეს სამსახური? არა ბერნშტეინისებურად, რომელიც პროლეტარიატს სოციალიზმის დავიწყებას უქადაგებს, არა მსგავსად კროპოტკინისა, რომელიც თემურ „სოციალიზმს" სთავაზობს მას, არამედ ისე, როგორც მარქსი გვასწავლის — „ბრძოლა **ფართო** სოციალისტური ცხოვრებისათვის, როგორც **უმთავრესი** მიზნისათვის, — აი როგორ უნდა ვემსახუროთ პროლეტარიატს". კაპიტალიზმის დამხობა პროლეტარიატს შეუძლია **გადამჭრელი** საშუალებით. ეს არის სოციალისტური რევოლუცია, რომელიც გარდუვალია. სოციალისტური რევოლუცია იწყება პროლეტარიატის დიქტატურით. პროლეტარიატი ხელში აიღებს ძალაუფლებას და დაამყარებს სოციალისტურ დიქტატურას. ამ ბრძოლაში პროლეტარიატს წინ უნდა წაუძღვეს კლასობრივი, რევოლუციური, ინტერნაციონალური პარტია. მომავალ საზოგადოებაში — სოციალისტურ საზოგადოებაში აღარ იქნებიან არავითარი კლასები, აღარ იქნება ექსპლოატაცია. კაპიტალისტური საზოგადოების ანტაგონისტური ბუნების გაშიშვლებასთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შესანიშნავად მოხაზა სოციალისტური საზოგადოების კონტურები, გვიჩვენა მისი ხასიათი და მიგვითითა, რომ „მომავალი წარმოება, სოციალისტურად მოწყობილი, ფრიად განვითარებული წარმოება იქნება". ამავე დროს მიუთითა, რომ სანამ ბურჟუაზია სავსებით არ დამარცხებულა, პროლეტარიატს ეყოლება თავისი სამხედრო ძალა, თავისი „პროლეტარული გვარდია", რომლითაც იგი მომაკვდავი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ იერიშებს მოიგერიებს, პროლეტარიატის დიქტატურა კი საჭიროა ბურჟუაზიის ექსპროპრიაციისათვის. პროლეტარული სოციალიზმის საერთო ნიშნების დახასიათების შემდეგ ამხანაგი სტალინი ამბობს: „პროლეტარული სოციალიზმი არ არის უბრალო ფილოსოფიური მოძღვრება. ის პროლეტართა მასის მოძღვრებაა, მათი დროშაა, რომელსაც პატივსა სცემს და „ეთაყვანება" მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი" (გვ. 328).

„ანარქიზმი თუ სოციალიზმი?", რომლითაც მთავრდება სტალინის თხზულებათა პირველი ტომი, უდიდესი მნიშვნელობის ფილოსოფიური ნაშრომია. იგი ღრმად ამუშავებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საკითხებს. შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნიმუშებია ამავე ტომში შესული სხვა ისტორიული ნაშრომები. ეს ნაშრომები მოიცავენ ჩვენი ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს — 1901-1907 წლებს, როცა ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეუპოვარ რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს ნაშრომები გვაძლევენ ურთულესი პრობლემების ღრმა ანალიზს, გვასწავლიან პრინციპულობას, სიმტკიცეს ბრძოლაში და უანგარო სამსახურს კომუნიზმის საქმისადმი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში მოთავსებულმა ნაშრომებმა თავიდანვე დიდი როლი შეასრულეს ჩვენი მეცნიერების, ისტორიის, ფილოსოფიის, ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის განვითარებაში. ისინი მკითხველს სრული მოცულობით წარმოუდგენენ იმ ფასდაუდებელ ღვაწლს, რომელიც ამხანაგ სტალინს მიუძღვის თანამედროვე ქართული ლიტერატურული მეტყველების შექმნასა და განვითარებაში.

ქართველმა მკითხველმა ძვირფასი საჩუქარი მიიღო. ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნიმუშია, რომელიც წინ სწევს ჩვენს მეცნიერებას, ლიტერატურას, ჩვენი კადრების ბოლშევიკური აღზრდის საქმეს და გვაიარაღებს ყველაზე მოწინავე მოძღვრების — მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ცოდნით.

გიორგი ჯიბლაძე

---

[1] იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. XIII.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 95.

*) ეს ჯგუფი 1903-დან 1905 წლამდე პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე სცემდა თავის ორგანოს—„საქართველოს", რომელსაც ამხანაგი სტალინი მკაცრად აკრიტიკებს და „სქელშუბლიანს" უწოდებს.

[3] იხ. „იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, მოკლე ბიოგრაფია", 1947 წ. გვ. 37-39, ქართული გამოცემა.

სტალინური პრემიის ლაურეატები

ქართველ მათემატიკოსთა დიდი წარმატების მაჩვენებელი

საბჭოთა მთავრობამ მეორედ მიანიჭა აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს სტალინური პრემია. ამჯერად ეს პრემია მან მიიღო წიგნისათვის—„სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“, რომელიც 1946 წელს გამოვიდა მოსკოვში.

ამ უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი დიდი სამამულო ომის წლებში, ქართველი მათემატიკოსები აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. დაძაბულად მუშაობდნენ ე. წ. სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიისა და კომპლექსურ ცვლად ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის მეთოდების შესასწავლად. ამ მიმართულებით მიღებული იყო მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი, რომელნიც საფუძვლად დაედო ნ. მუსხელიშვილის ამ შესანიშნავ წიგნს.

აღსანიშნავია, რომ სინგულარულმა ინტეგრალურმა განტოლებებმა თავი იჩინეს მეცნიერებაში XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული ხასიათის ამოცანების შესწავლისას. ამან ადრევე გააღვიძა მკვლევართა ინტერესი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიისადმი და მისი დამუშავება ბევრმა ავტორიტეტულმა მეცნიერმა სცადა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დრომდე ამ თეორიის მთელი რიგი საკითხები მაინც გადაუჭრელი რჩებოდა. ამჟამად ნ. მუსხელიშვილისა და მის თბილისელ მოწაფეთა შრომებში ეს საკითხები ბოლომდეა გადაჭრილი. მიღწეულმა შედეგებმა მრავალი საინტერესო გამოყენება ჰპოვეს უკანასკნელ დროს სხვადასხვა დარგში.

დავასახელოთ რამდენიმე ამოცანა, რომელნიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებთან და მათი საშუალებით ამოიხსნებიან.

კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვებისა და ოკეანეების მიქცევისა და მოქცევის შესწავლას ნაოსნობისათვის. ეს მოვლენა, რომელიც გამოწვეულია მზის, მთვარისა და დედამიწის ურთიერთმიზიდულობით, მდგომარეობს იმაში, რომ დღე-ღამის განმავლობაში ხდება ზღვის დონის თითქმის პერიოდულად აწევა და დაწევა. ზღვის დონის ცვლილება, რომელიც ხშირად მეტად საგრძნობ ოდენობას აღწევს, არ ემორჩილება რაიმე პერიოდულ კანონს; ის სხვადასხვაა როგორც დროის, ისე ადგილის მიხედვით და დამოკიდებულია კიდევ სხვა მრავალ ფაქტორზე, რაც მიქცევისა და მოქცევის კანონების შესწავლას ძლიერ რთულ პრობლემად ხდის. ამ მოვლენის კანონების დადგენას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ვინც მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლის-ამერიკის ჯარების სადესანტო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებს გაეცნობა, დაინახავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის მიქცევისა და მოქცევის კანონების ზუსტად გათვალისწინებას. ეს იმიტომ, რომ გემების ნაპირთან ახლოს მისვლა დანიშნულ ადგილას შეიძლება ვერც კი მოხერხდეს, თუ ეს არ ხდება ზღვის სრული მოქცევის დროს, რადგან მხოლოდ ასეთ დროს ექნება ზღვას შესაფერი სიღრმე, რომელიც აუცილებელია ნაპირთან გემების მისადგომად.

ზღვების მიმოქცევის შესწავლასთან დაკავშირებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი მათემატიკური ამოცანა, რომელიც ამჟამად პუანკარეს ამოცანის სახელწოდებითაა ცნობილი, მოითხოვს სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის ფართოდ გამოყენებას. ამით აიხსნება, რომ ეს ამოცანა საჭირო სისრულით მხოლოდ უკანასკნელ დროს იქნა ამოხსნილი თბილისელი მათემატიკოსების მიერ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც აგრეთვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ნ. მუსხელიშვილის ზემოთ დასახელებულ წიგნში დამუშავებულ საკითხებთან, არის თვითმფრინავის ფრთის თეორიის სხვადასხვა საკითხები. ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმფრინავის ფრენის კარგ თვისებათა უზრუნველსაყოფად მისი ფრთის ფორმას. ცხადია, არ ივარგებს, რომ ფრთა იყოს მრგვალი ცილინდრის ფორმისა ან სავსებით ბრტყელი. მისი ფორმა ისე უნდა შეირჩეს, რომ ამწევი ძალა საკმაოდ დიდი იყოს, ხოლო ჰაერის პირდაპირი წინაღობა საკმაოდ მცირე. ამასთანავე თვითმფრინავი უნდა იყოს იმდენად მდგრადი და მკვიდრი, რომ ჰაერის წინაღობისაგან არ დაიმსხვრეს. ამ მნიშვნელოვანი და რთული პრობლემის მრავალი საკითხი წყდება აგრეთვე სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით და მათაც აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის წიგნში დათმობილი აქვთ შესაფერისი ადგილი.

ზემოთდასახელებული ამოცანები, ცხადია, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ამოცანებისა, რომელთა გადაწყვეტისათვის სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაა საჭირო. მრავალი ამ ამოცანათაგანი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათისა, განხილული და ამოხსნილია აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დასახელებულ წიგნში. მაგალითისათვის საკმარისია მივუთითოთ დრეკადობის თეორიის იმ ამოცანებზე, რომლებიც წიგნში ბრწყინვალედ არის ამოხსნილი.

აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ნაშრომისათვის — „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“ სტალინური პრემიის მინიჭება შესანიშნავი მოვლენაა ქართველ მათემატიკოსთა ცხოვრებაში. ეს ჯილდო დაფასებაა არა მარტო ნ. მუსხელიშვილის დიდი მეცნიერული მიღწევებისა, არამედ მაჩვენებელია აგრეთვე იმ დიდი წარმატებებისა, რაც ქართველმა მათემატიკოსებმა მოიპოვეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად. ჩვენი ვალია დაუღალავად ვიბრძოლოთ მომავალშიც ახალ-ახალი წარმატებებისათვის მეცნიერების ფრონტზე და ამით გავამართლოთ ის დიდი მზრუნველობა, რომელსაც იჩენენ მეცნიერების მიმართ ბოლშევიკური პარტია და დიდი ბელადი, მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

ი. ვეკუა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წიგნი

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც 1946 წელს გამოიცა, ქართული საისტორიო მეცნიერების უდავო გამარჯვებაა. სახელმძღვანელო ისეთი სამსჯავროს წინაშე წარსდგა, როგორიცაა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტალინური პრემიების მიმნიჭებელი კომისია. აქ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო ცნობილი იქნა ისტორიის მეცნიერებათა დარგში მნიშვნელოვან მიღწევად და წიგნის ავტორებს სტალინური პრემია მიენიჭათ. ეს დამსახურებული ჯილდოა.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა რთულ სიძნელეთა გადალახვასთან იყო დაკავშირებული. ამ სიძნელეთა გათვალისწინება, შესაძლებელია, ყველასათვის, ვინც დღეს ამ წიგნით სარგებლობს, მარტივი საქმე არ იყოს. ამათუიმ ერის ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა წინასწარ ხანგრძლივი მეცნიერული მუშაობის წარმოებას გულისხმობს. ერის ისტორიის ცალკეული პერიოდები უძველესი დროიდან მოკიდებული ძირითადად დამუშავებული უნდა იყოს, ერის ისტორიის ხერხემალი მკაცრი მეცნიერული მუშაობის შედეგად მონოგრაფიებში უნდა გამოჩნდეს. მაგრამ ამ მასალის მიღების შემდეგაც სიძნელეებია გადასალახავი. ერის საზოგადოებრივი განვითარების პროცესი ძნელი შესათვისებელია მოზარდი თაობისათვის.. საჭიროა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგების გარკვეული წესით დამუშავება და დალაგება, რათა მისი გაგება და ათვისება საშუალო სასწავლებლის თაობამ შესძლოს.

როგორი მემკვიდრეობა გააჩნდათ წიგნის ავტორებს — აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, აკადემიკოს ს. ჯანაშიას და აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს? გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, ეს მემკვიდრეობა საგრძნობლად ღარიბი იყო იმისათვის, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო დაწერილიყო. საქართველოს ისტორია დღეს არსებული დიდი ერების ისტორიას არ ჩამოუვარდება ხანგრძლივობით, საზოგადოებრივი განვითარების პროცესებით, რთული საერთაშორისო ვითარებით, საკაცობრიო კულტურის საგანძურში თავისი წვლილის შეტანით. საქართველომ განვითარების ყველა სტადია განვლო და ამ სტადიების შესწავლა მეცნიერთა თაობების დაძაბული მუშაობის შემდეგ შეიძლებოდა ძირითადად დასრულებულიყო.

ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი დროის შესაფერი მაღალი მეცნიერული სკოლით საქართველოს ისტორიის პროცესის თავისებური გაგების სურათი მოგვცა. ვახუშტი ემიგრაციის პირობებში მუშაობდა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია მან საქართველოს გარეთ დაწერა არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამო.

მე-19 საუკუნეში რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად ქართველი მოღვაწეები ევროპის მოწინავე მეცნიერულ საისტორიო სკოლებს გაეცნენ. მაგრამ თვითმპყრობელობა ნაციონალურ-კულტურულ ვითარებას შემოერთებულ მხარეებში, განსაკუთრებით საისტორიო მეცნიერებისადმი დაპყრობილი ხალხის ახალი თაობის ლტოლვას, პოლიტიკური თვალსაზრისით სინჯავდა და თვითმპყრობელური სახელმწიფოს არსებობისათვის საშიშ მოვლენად სთვლიდა. აქედან—თვითმპყრობელობის მისწრაფება ხელი შეეშალა ნაციონალური სკოლებისათვის და ამ სკოლებში ამ ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის დამუშავებისა და შესწავლის საქმისათვის.

სავსებით სამართლიანად ჩიოდა დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია ჩვენ არა გვაქვს, ქართველი ხალხი ამ ისტორიაში არსად სჩანსო.

დიდი ენერგიით, არსებულ ძალთა დაძაბვით, მემკვიდრეობის ამ სიღარიბის პირობებში გადაიჭრა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართველ მეცნიერთა წინაშე დასახული ამოცანა. სამეცნიერო დაწესებულებათა კერების გაფართოებამ, ახალი სამეცნიერო ძალების გამოზრდამ და მატერიალურად უზრუნველყოფამ სხვა წყობილებისათვის წარმოუდგენელი სისწრაფით დააჩქარა ჩვენი ერის ისტორიის მანამდე წყვდიადით მოცული ეპოქების გაშუქება. ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით ჩამოყალიბებულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, განსვენებული აკადემიკოსის ივ. ჯავახიშვილის დიდ ცოდნაზე აღზრდილი თავისი მტკიცე კოლექტივით, შესძლო არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერებისა და ისტორიის დარგებში ჩატარებული მუშაობით დროის მცირე მონაკვეთში საქართველოს ისტორიის საკითხების გადაწყვეტა. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კვლევა-ძიების ახალმა მეცნიერულმა მეთოდმა — მარქსისტულ-ლენინურმა მეთოდმა, დააჩქარა როგორც მუშაობის პროცესი, ისე თვით ახალი ფაქტების გამოვლენა იმ ძეგლებშიც კი, რომელნიც საუკუნის განმავლობაში მკვლევართა თაობას წინ ედო და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ კი თითქოს ცნობას არ გვაწვდიდა. ახალი მეთოდით მიდგომამ ეს მასალები ამეტყველა. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ღირსეული მემკვიდრენი აკადემიკოსები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი მეცნიერული თანმიმდევრობით გვაწვდიან საქართველოს ისტორიის განუწყვეტელ სურათს. სახელმძღვანელოში ჩვენ თვალწინ დგას ქართველი ხალხი, მისი სიყრმიდან მოკიდებული მე-18 საუკუნის დასასრულამდე. სახელმძღვანელო ფაქტიური მასალისა და მისი ანალიზის საფუძველზეა შედგენილი. წიგნში დართული ილუსტრაციები ქართველი ხალხის აღწერილი ცხოვრების ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ.

ჩვენი საბჭოთა ეპოქის ქართველ ისტორიკოსთა გამარჯვების მაჩვენებელია საქართველოს ისტორიის დღევანდელი სახელმძღვანელო. მადლიერი საბჭოთა ახალგაზრდობა მოუთმენლად ელის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს—მე-19-20 საუკუნეების ისტორიას. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ლაურეატები აქაც თავის მოვალეობას პირნათლად მოიხდიან.

იასე ცინცაძე

აბასთუმან-ქვემო ენთელის სარწყავი არხი

15 კილომეტრი სიგრძე აქვს სარწყავ არხს, რომელიც ამ დღეებში დაამთავრეს ადიგენის რაიონის კოლმეურნეებმა. არხი მდინარე აბასთუმნიდან იწყება და სოფელ ქვემო ენთელამდე გრძელდება.

ეს არხი მორწყავს რაიონის 8 კოლმეურნეობის 1.000 ჰექტარზე მეტ მიწას და ხელს შეუწყობს მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდებას.

კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით შესრულებულია 12 ათასამდე კუბური მეტრი მიწის სამუშაო. არხის მშენებლობაზე განსაკუთრებით ისახელეს თავი არალის, ქვემო ენთელის, აბასთუმნის, უნწის, ბენარისა და შოლაველის კოლმეურნეებმა. ამხანაგები გრ. ზახაროვი, ნ. ფალავანდიშვილი, თოსუნოვი და კარასავიდი კარგად ხელმძღვანელობდნენ არხის მშენებლობას.

გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: ამ არხის მშენებლობის საკითხი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის ცნობილი გახდა ჯერ კიდევ აპრილში. დაიწყო მუშაობა, არხის მშენებლობა უკვე დამთავრდა, კოლმეურნეობები რწყავენ კიდეც მინდვრებს, სამინისტროს კი ჯერაც არ შეუდგენია სარწყავი არხის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (?!). მთელი მუშაობა ჩატარდა ადგილობრივი კადრების საშუალებით.

ახალი არხის სოფელ ბოლაჯაურამდე გასაგრძელებლად დღესაც დიდი მუშაობა სწარმოებს. მიწის სამუშაოები თითქმის დამთავრებულია, ახლა გაჰყავთ სარწყავი თხრილები.

ა. კოკილაშვილი

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

თბილისის სტალინის სახელობის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის შემკერავი საამქროს მოწინავე ოსტატი ვ. სამადაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას ასრულებს 200-300 პროცენტით.

ფოტო რ. აკოფოვისა.

სტახანოველი დები

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს სტახანოველი ლიდა კილაძე. იგი დიდი სამამულო ომის წლებში მოვიდა ქარხანაში, სახარატომექანიკურ საამქროში დაიწყო მუშაობა და ხარატის პროფესია აირჩია. ლიდამ შეიყვარა თავისი საქმე, ენერგიულად მოჰკიდა ხელი მუშაობას.

როდესაც სახარატო საამქროს სტახანოველებმა ს. ზარიძემ და ი. ჭუმბურიძემ თავიანთი ხუთწლიანი გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში თანასოფლელი კოლმეურნეები გამოიწვიეს, ლიდა კილაძეც გამოეხმაურა ამ თაოსნობას. მან წერილი მისწერა თავის დას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის კოლმეურნეობის სტახანოველს მარგალიტა კიკვიძეს, 7 ნოემბრამდე ორი წლის გეგმის შესრულება იკისრა და მოუწოდა ჩაება მასთან შეჯიბრებაში, იბრძოლოს დიდი ბელადისათვის მიცემული პირობის გასანაღდებლად.

ამ დღეებში ლიდამ თავისი დისაგან მიიღო საპასუხო წერილი, რომელშიც წარჩინებული კოლმეურნე სწერს: შეჯიბრებაში გამოწვევას სიხარულით ვღებულობ. ბელადის სახელობის ქარხნის სტახანოველთა თაოსნობამ არა მარტო მე, არამედ ჩვენი კოლმეურნეობის თვითეული წევრი მაღალნაყოფიერი შრომისათვის აღაფრთოვანა. მთელი ენერგიით ვმუშაობ წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის. აბრეშუმის ჭია 24 დღეში გამოვკვებე, 7 გრამი თესლიდან 60 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი ჩავაბარე და სახელმწიფო დავალება 235 პროცენტით გავანაღდე. ვკისრულობ ბოსტანში, რომელსაც მე ვუვლი, სულ მცირე ორჯერ მეტი მოსავალი მივიღო, ვიდრე გეგმითაა გათვალისწინებული.

ასე იბრძვიან მრეწველობისა და კოლმეურნეობის სტახანოველი დები ლიდა და მარგალიტა კილაძეები სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

გ. კაჭკაჭიშვილი

სამტრედიის მეორთქლმავლეთა წარმატება

ამას წინათ სამტრედიის მეორთქლმავლემ ა. კუჭუხიძემ სამტრედიიდან ოჩამჩირეში 8 წუთით ადრე ჩაიყვანა მძიმეწონიანი მატარებელი, ტექნიკური სისწრაფე გაზარდა 3 კილომეტრით და 488 კილოგრამი საწვავი დაზოგა; მემანქანე ლ. ჩრდილელმა მატარებელი 6 წუთით ადრე გაატარა სამტრედია-ოჩამჩირის უბანზე, ტექნიკური სისწრაფე გაადიდა 1,5 კილომეტრით და 866 კილოგრამი საწვავი მოიმომჭირნა; კ. ჯანჯღავამ ქობულეთიდან ბათუმში მატარებელი 8 წუთით ადრე მიიყვანა, ამასთან 732 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

ჩითახევჰესის მშენებელთა მორიგი გამარჯვება

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის სათბობ საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით სოციალისტური შეჯიბრების აპრილის შედეგების მიხედვით ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივს (მშენებლობის უფროსი ამხ. ანდღულაძე) მიეკუთვნა მესამე საკავშირო პრემია 30.000 მანეთის რაოდენობით.

მესამე საკავშირო პრემია 15.000 მანეთი მიეკუთვნა ამავე ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო არხის მშენებელთა კოლექტივს.

კურორტ ბახმაროს სეზონი

საკურორტო სეზონის გახსნისათვის კურორტ ბახმაროს დირექცია გაცხოველებით ემზადება. სეზონი გაიხსნება 1 ივლისს. წელს ბახმაროზე სამ ცვლად იმუშავებს სანატორიუმი, რომელიც დამსვენებლებს მიიღებს 16 ივნისიდან.

კურორტის დირექცია ბინებითა და საწოლებით უზრუნველჰყოფს მხოლოდ სანატორიუმის დამსვენებლებს.

ამურის კომსომოლსკი 15 წლისაა

1947 წლის 12 ივნისს კომსომოლსკის მშრომელნი აღნიშნავენ თავისი ქალაქის დაარსების 15 წლისთავს. 1932 წელს, როცა იაპონიის სამხედრო ხროვა პროვოკაციის პოლიტიკას ატარებდა და აშკარად აცხადებდა თავის მისწრაფებას დაეპყრო საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი, ყრუ გაუვალ ტაიგაში, ამურის შორეულ ნაპირებზე, ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ინიციატივით დაიწყო დიდი სამრეწველო ცენტრის მშენებლობა.

მშენებლობა დაევალა ლენინურ-სტალინურ, ამჟამად სამგზის ორდენოსან კომკავშირს. მოსკოვის, ლენინგრადის, სმოლენსკის, ხარკოვის, როსტოვის ათასობით კომკავშირელი გაემგზავრა ამ საპატიო დავალების შესასრულებლად.

1932 წლის ზაფხულში, როცა ამურის ფართო სივრცეებს უკანასკნელი ყინულები მოსცილდა, პატარა სოფელ პერმსკოეს ახლოს ნაპირს მიადგა გემი „კოლუმბი“. უდაბურ წყნარ ნაპირზე გადმოვიდა ახალგაზრდა მშენებელთა პირველი ჯგუფი.

დიდი სიძნელეები იდგა ახალგაზრდობის წინაშე. ქოხებსა და კარვებში ცხოვრებამ, ელემენტარული პირობების უქონლობამ ვერ შეაჩერა მამაცი კომკავშირელები. პირველივე დღეებიდან დაიწყეს მშენებლებმა ტაიგის იერიში. ცულის მხიარულმა კაკუნმა, ხერხის ხმაურმა, ამონალის გრიალმა გააღვიძა ტაიგის საუკუნოვანი ტევრები. ვერც უამინდობამ, ვერც ზამთრის სუსხმა ვერ გასტეხეს კომკავშირელთა სიმტკიცე და შეუპოვრობა. ისინი ფართო ფრონტით უტევდნენ ტაიგას.

1933 წლის ივნისში საძირკველი ჩაეყარა ორი უდიდესი ქარხნის — გემთმშენებელი და მანქანათმშენებელი ქარხნების პირველ კორპუსებს. ხოლო ორი წლის შემდეგ ამურის გემთმშენებელ ქარხანაში დაიწყო პირველი გემების აგება. ჩვენს ქვეყანას პროდუქცია მისცეს მანქანათმშენებლებმაც.

ამავე დროს, 140 კვადრატულ კილომეტრზე გაშლილი გიგანტური სამშენებლო მოედნის სხვადასხვა კიდეებში შენდებოდა ქალაქი. იშვა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კვარტალები, ახალი ქარხნები, მძლავრი თბოელექტროცენტრალი. რკინიგზამ ახალი მშენებლობა დაუკავშირა სამხარეო ცენტრს—ხაბაროვსკს.

კომსომოლსკს მთელი ჩვენი ქვეყანა აშენებდა. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ აქ მუშები, სპეციალისტები, ჩამოჰქონდათ მოწყობილობა და სამშენებლო მასალა.

დადგა დღე, როცა კომსომოლსკის მცხოვრებლებმა სიხარულითა და სიამაყით მოისმინეს მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მგზნებარე სიტყვები, რომლითაც მან პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა ქალაქის მშენებელთა თავდადებულ შრომას.

„და თითქოს შთამომავლობის სახსოვრად, შორეულ ყრუ ადგილას, გაუვალ ტყეებში დიდებული ამურის ნაპირებზე კომკავშირელებმა ააშენეს თავისი სახელწოდების ქალაქი—კომსომოლსკი, რომელიც უკვე გახდა შორეული აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრი და რომლის სამრეწველო მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება“.

ახლა ჩვენს ქალაქში ათამდე დიდი და მრავალი მცირე საწარმოა. შორეული აღმოსავლეთის შავი მეტალურგიის პირმშო „ამურსტალი“ და სხვა ქარხნები აშენდა და ამუშავდა დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში. ამ წლებში კომსომოლსკის მშრომელნი დაძაბულად მუშაობდნენ. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საერთო საქმეში. ჩვენს ქვეყანას ქალაქი მზარდი ტემპებით აძლევდა ხომალდებს, მანქანებს, ფოლადს, საომარ მასალას, ქიმიურ პროდუქტებს და სხვას.

ძირითადი პროდუქციის გარდა, საწარმოებმა ამ მძიმე წლებში შესძლეს დახმარებოდნენ ხაბაროვსკის მხარის და საბჭოთა კავშირის სხვა ოლქების სოფლის მეურნეობის რაიონებს: მათ დაამზადეს მილიონობით მანეთის სათადარიგო ნაწილები ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის.

ქალაქმა კომსომოლსკმა თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკაში.

სამშობლომ დიდად დააფასა ეს გამარჯვებანი. სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული მანქანათმშენებელი ქარხანა, შრომის წითელი დროშის ორდენით — გემთმშენებელი ქარხანა. მთავრობის ჯილდოები მიიღო მრავალმა ასეულმა მუშამ, ინჟინერმა, ტექნიკოსმა, მოსამსახურემ.

კომსომოლსკი კვლავ შენდება და ვითარდება.

ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები განუწყვეტლივ ზრუნავენ მშრომელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ცოტა რამ როდი გაკეთდა 15 წლის მანძილზე. ახლა ქალაქსა აქვს 6 საავადმყოფო, 5 პოლიკლინიკა, 11 აბანო, 14 სამრეცხაო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ათობით სხვა დაწესებულება. ქალაქის 36 სკოლაში 14 ათასი ბავშვი სწავლობს, ათასობით სკოლამდელი მოთავსებულია საბავშვო ბაღებსა და ბაგებში.

მარტო უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე ქალაქში მწყობრში ჩადგა ისეთი კაპიტალური ნაგებობანი, როგორიცაა კულტურის სასახლე, საბჭოების სახლი, კინოთეატრი, 2 პოლიკლინიკა, საავადმყოფოს ახალი კორპუსი, აბანო, საბავშვო ბაღის შენობა, 2 სასადილო. აშენდა „დინამოს“ ახალი სტადიონი. აგებულია ათობით ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

კეთილმოწყობის უფრო ფართო პროგრამის განხორციელებას შევუდექით 1947 წელს. დამატებით იქნება მოასფალტებული 150 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი მოედნები, ქუჩები, მათ შორის მთლიანად კიროვის სახელობის, კალინინის სახელობის, პიონერთა ქუჩები, ცენტრალური პროსპექტი, მოედანი კულტურის სასახლესთან და სხვ. დამთავრდება გაშენება პარკისა ცენტრალურ რაიონში, ხუთი ახალი სკვერისა, სწარმოებს მრავალი ქუჩის, სკოლისა და საავადმყოფოს ნაკვეთების გამწვანება. დამატებით იქნება გაყვანილი 29 კილომეტრი წყალსადენის, თბოფიკაციისა და კანალიზაციის მილები. წლის დამლევისათვის განზრახულია პირველი ტროლეიბუსის ამუშავება.

ქალაქს დაამშვენებენ ახალი საუცხოო შენობები — თეატრები, კლუბები, სკოლები, საავადმყოფოები, მაღაზიები, სტადიონები, პარკები. მაგრამ, მთავარი ყურადღება საბინაო მშენებლობას ეთმობა. ხუთწლედის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ბევრ ამ ღონისძიებას კომსომოლსკის მშრომელნი განახორციელებენ თავისი სასიხარულო დღესასწაულის — ქალაქის 15 წლისთავისათვის. ისინი მტკიცედ იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაალამაზონ თავიანთი ქალაქი. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქალაქის ასნომრიანი სასტუმრო, ახალი კინოთეატრი ლენინის რაიონში.

მრეწველობის განვითარებამ, ქალაქისა და მისი მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ ჩვენს წინაშე დააყენა კიდევ ერთი რთული ამოცანა — საჭირო იყო საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ბაზის შექმნა, საკუთარი თავის უზრუნველყოფა მიწათმოქმედების პროდუქტებით. მშრომელებმა ეს ამოცანაც გადაჭრეს ტაიგასთან და ჭაობებთან შეუპოვარი ბრძოლით. ქარხნებისა და მშენებლობათა კოლექტივებმა ტაიგას ნაჭერ-ნაჭერ წაართვეს მიწა და შექმნეს ათობით დამხმარე მეურნეობა, ისწავლეს კარტოფილისა და ბოსტნეულის კარგი მოსავლის მოყვანა. წელს სამრეწველო საწარმოების დამხმარე მეურნეობები და 50 ათასი ინდივიდუალური მებოსტნე დასთესენ 8 ათასზე მეტ ჰექტარ ფართობს.

ყოველ, თუნდაც ყველაზე ძნელ საქმეში, რასაც პარტია კომსომოლსკის მშრომელთ ავალებს, ჩვენ გამარჯვებას ვაღწევთ. ამას გვასწავლის პირველი კომკავშირელი მშენებლების სახელოვანი ტრადიციები. ამიტომაც პირველი მშენებლები, რომლებმაც ქალაქს თხუთმეტი წლის თავდადებული შრომა მოახმარეს, ახლა საყოველთაო პატივისცემით სარგებლობენ, მათ ანდობენ დიდ საქმეებს, ირჩევენ ხელმძღვანელ პოსტებზე. ყოფილი დურგალი ივანე ზაიცევი და მიწის მთხრელი კონსტანტინე რომანოვი ახლა არჩეული არიან რაიაღმასკომების თავმჯდომარეებად. კომკავშირელი ლევ კაჩევი ახლა საკავშირო კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანია, სერაფიმ პოკროვსკი — ტრესტ „ამურსტალსტროის“ მმართველის მოადგილე, ალექსანდრე ეფრემენკო — მანქანათმშენებელი ქარხნის დიდი საამქროს უფროსი, მარია დორიშევა — რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. მათ ყველამ თავისი შრომითი ცხოვრება ტაიგის ამოძირკვით დაიწყეს.

დიად სამუშაოთა სტალინური ხუთწლიანი გეგმა სიჭაბუკის ქალაქს გრანდიოზულ პერსპექტივებს უსახავს. ბრძმედისა და კოქსქიმიური ბატარიის მშენებლობა „ამურსტალის“ ქარხანას გადააქცევს შორეული აღმოსავლეთის პირველ მეტალურგიულ კომბინატად. დამთავრდება ავტომობილების აწყობის ქარხნის, თევზის კომბინატის მშენებლობა, გაფართოვდება მრავალი სხვა საწარმო. კომსომოლსკი გადაიქცევა რკინიგზების მსხვილ კვანძად.

ყოველწლიურად სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ქალაქის ცხოვრება. კომსომოლსკში ცხოვრება და მუშაობა ბევრსა სურს. მარტო უკანასკნელ წელს ქალაქის აღმასკომმა მიიღო 200 ათასამდე წერილი სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდებისაგან, რომელნიც ნებართვას თხოულობენ აქ ჩამოსასვლელად.

კომსომოლსკის მშრომელნი, რომელთაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკური პარტია და აღაფრთოვანებს დიდი სტალინი, მტკიცედ შეუდგნენ ახალი ამოცანების შესრულებას. ქარხნებისა და მშენებლობათა კოლექტივებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ლენინგრადელთა წამოწყებას და ჩაებნენ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. უდიდესი საწარმოების — „ამურსტალის“, გემთმშენებელი ქარხნის კოლექტივები, ტრესტ „ამურსტალსტროისა“ და მრავალი სხვა საწარმოს მშენებლები უკვე გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას, წარმატებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

თავის თხუთმეტი წლისთავს ქალაქი ეგებება შეუპოვარი შრომით ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ალექსი ეროშინი

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის რეზოლუცია

რომი, 9 ივნისი. (საკდესი). 3-დან 5 ივნისამდე რომში სწარმოებდა იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის სხდომები დამფუძნებელი კრების კომუნისტი დეპუტატების ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, სხდომებზე მოისმინეს პარტიის მდივნის ტოლიატის მოხსენება, განიხილეს და მოიწონეს პოლიტიკა, რომელსაც პარტიის წარმომადგენლები ახორციელებდნენ კრიზისის დროს, და კომუნისტური პარტიის პოზიცია ახალ ვითარებაში, რაც შეიქმნა ქრისტიან დემოკრატთა პარტიის მთავრობის ჩამოყალიბების შედეგად.

გაზეთმა „უნიტამ" გამოაქვეყნა ამ საკითხებზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავრობის როგორც იანვრის, ისე მაისის კრიზისები გამოწვეული იყო დე გასპერის მიერ სრულიად უსაფუძვლოდ, იტალიის ინტერესების საზიანოდ და მთავრობისა და დამფუძნებელი კრების აზრის წინააღმდეგ. „ამიტომ არავითარ ეჭვს არ იწვევს დე გასპერის შეგნებული განზრახვა ხელიხელ გამოიწვიოს კრიზისები, განზრახვა, რომელიც მოწმობს იმას, რომ ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ნაწილს არ სურს პატიოსნად და ლოიალურად თანამშრომლობს სხვა დიდ პარტიებთან და მიისწრაფვის განსაკუთრებული ხელისუფლებისაკენ, აგრეთვე იმას, რომ ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ხელმძღვანელობამ სრული კაპიტულაცია მოახდინა იმ შინაური და გარეშე რეაქციული პლუტოკრატიული ჯგუფების შემოტევის წინაშე, ვინც დიდი ხანია მიზნად დაისახა თანდათანობით გაერიცხა მთავრობიდან დემოკრატიული პარტიები, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენენ მშრომელთა ინტერესებს, დე გასპერი და ზოგიერთი მისი უახლოესი თანამშრომელი კრიზისის გამოწვევის მისწრაფებაში არ მოერიდნენ ცდას გაეძლიერებინათ შეშფოთება ჩვენს ქვეყანაში განცხადებებითა და სიტყვებით, რაც გულს უტეხდა ხალხს და სტიმულს აძლევდა ბირჟის სპეკულანტებს, რომლებმაც დღემდე უდიდესი სარგებლობა ნახეს მთავრობის ქრისტიან-დემოკრატიული მეთაურის პოლიტიკური მანევრებისაგან".

რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომპარტიის პოლიტიკა კრიზისის დროს მიმართული იყო იქითკენ, რომ „არავითარი დაბრკოლება არ შეექმნა ახალი მთავრობის უსწრაფესად ჩამოყალიბებისათვის", და რომ ნიტის მარცხით დამთავრებული ცდის შემდეგ დე გასპერისა და კომპარტიის შორის არ ყოფილა არავითარი გადაულახველი უთანხმოება. მაგრამ ამ სტადიაში დე გასპერიმ გამოიჩინა მისწრაფება, რომ „ხელოვნურად და რადაც უნდა დასჯდომოდა შეექმნა უთანხმოება მემარცხენე პარტიებთან, განსაკუთრებით კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებთან, და ამრიგად გაემართლებინა კონსერვატიულ და რეაქციულ ძალებთან ბლოკზე დამყარებული მთავრობის ჩამოყალიბების თავისი გეგმა. ამას მთლიანად ადასტურებს აგრეთვე ქრისტიან დემოკრატთა პარტიის პოლიტიკა სიცილიაში, სადაც მან მონარქისტებსა და მსხვილ მიწისმფლობელებთან ბლოკი ამჯობინა მემარცხენე რესპუბლიკურ პარტიებთან შეთანხმებას. ცხადია, რომ კომუნისტებს, რომლებიც დაყენებული იყვნენ ისეთი პირობების წინაშე, რაც ნიშნავდა დემოკრატიულ მეთოდებისა და ხელისუფლების ორგანოების დემოკრატიულ სტრუქტურაზე უარის თქმას, არ შეეძლოთ დათანხმებულიყვნენ მთავრობაში მონაწილეობაზე". დე გასპერიმ, რომელმაც უარი სთქვა მშრომელთა პარტიებსა და მემარცხენე პარტიებთან თანამშრომლობაზე და შეუთანხმდა რეაქციულ ძალებს, „ამით უარჰყო ქრისტიანული დემოკრატიის პროგრამა და უღალატა ხალხის მასების ნება-სურვილს, რაც 2 ივნისის არჩევნებში თავისუფლად იყო გამოხატული".

„მშრომელთა პარტიებისა და მემარცხენე დემოკრატიული რესპუბლიკური პარტიების ჩამოშორება, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მთავრობას ართმევს ჩვენი ქვეყნის ყველა ჯანსაღი ძალის წარმომადგენლობის ხასიათს და მშრომელთა მასებს ნებას არ აძლევს ენდონ ასეთ მთავრობას".

„როგორიც უნდა იყოს ახლანდელი მთავრობის საპროგრამო განცხადებანი, მას სხვა არაფრის უნარი არა აქვს, გარდა იმისა, რომ დაიცვას პლუტოკრატიული რეაქციული ფენების ინტერესები, რომელთაც სურდათ ასეთი მთავრობის შექმნა და მასში საკვანძო პოზიციები დაიკავეს". „ამიტომ სასურველია, რომ რაც შეიძლება მალე და დემოკრატიული გზებით გამოსწორდეს ასეთი მდგომარეობა და რომ ქრისტიანული დემოკრატიის ხელმძღვანელებმა, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე, გაითვალისწინონ ამის საჭიროება.

ამ შემთხვევაში, თუ ეს უახლოეს დროში არ მოხდა, წარმოიშობა საჭიროება სასწრაფოდ მივმართოთ ჩვენს ქვეყანას იმისათვის, რომ გაიმარჯვოს ხალხის ნებამ, დავიბრუნოთ ერთიანობისა და დემოკრატიული რესპუბლიკური აღდგენის პოლიტიკა მთელი ერის მშრომელთა ინტერესებისათვის". შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „მთავრობაში მონაწილეობა კომუნისტებისათვის წარმოადგენს არა პრინციპის საკითხს, არამედ საშუალებას დემოკრატიული რესპუბლიკური ძალების ერთიანობის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად, ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და განახლების დასაჩქარებლად. ისე, როგორც მთავრობაში მონაწილეობა კომუნისტებს არასოდეს არ უშლიდა ხელს შეენარჩუნებინათ კავშირი მშრომელთა მასებთან და ყოველგვარ შემთხვევაში დაეცვათ მათი ინტერესები და ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ასევე მთავრობის გარეთ ყოფნა კომუნისტებს ხელს არ შეუშლის განაგრძონ და გააძლიერონ თავიანთი კონსტრუქციული მოღვაწეობა, რაც მიმართულია ყველა იმ საკითხთა გადაჭრისაკენ, რომლებიც იტალიელ მშრომელებსა და მთელ ერს აინტერესებთ".

„ის წესი, რომლითაც გატარებულ იქნა ორი უკანასკნელი კრიზისი, — განაგრძობს რეზოლუცია, — ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ საჭიროა მშრომელთა და ყველა დემოკრატიულ რესპუბლიკურ ძალთა მტკიცე ერთიანობა, რათა ხელი შევუშალოთ რეაქციისა და ფაშიზმის აღორძინების ყოველგვარ ცდას და გადავარჩინოთ ფულის სყიდვითი უნარიანობა გონივრული ეკონომიური პროგრამის დახმარებით".

ამიტომ კომუნისტური პარტია მოუწოდებს თავის წევრებს არა მარტო განამტკიცონ და გააუმჯობესონ ურთიერთობა სოციალისტურ პარტიასთან, არამედ შეინარჩუნონ ერთიანობა მშრომელთა კათოლიკურ, კომუნისტურ და სოციალისტურ მასებთან; საჭიროა მშრომელებთან —ქრისტიან დემოკრატებთან თანამშრომლობა საერთო ინტერესებისათვის ბრძოლის ყველა საკითხში და განსაკუთრებით ისეთი მთავრობისაკენ დაბრუნებისათვის ბრძოლაში, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა შორის არსებულ ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობას.

უოლესის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). პრესის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა მონტგომერში (ალაბამის შტატი) სიტყვა წარმოსთქვა 6 ათასი კაცისაგან შემდგარი აუდიტორიის წინაშე. თავის სიტყვაში უოლესმა გაილაშქრა გერმანიასა და ავსტრიასთან სეპარატიული საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ ჰუვერისა და ვანდენბერგის წინადადების წინააღმდეგ. უოლესმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მშვიდობა მოითხოვს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ღრმა ურთიერთგაგებას. უოლესმა ამერიკის ახალგაზრდობის განზრახული საყოველთაო სამხედრო სწავლება დაახასიათა, როგორც „ტრუმენის დოქტრინის ერთ-ერთი ნაყოფი" და აზრი გამოსთქვა ახალგაზრდობის „სამხედრო აღზრდის" წინააღმდეგ. უოლესმა შიში გამოსთქვა, რომ „შეიძლება დამყარდეს კავშირი მსხვილ მრეწველობასა და უდიდეს სამხედრო ხარჯებს შორის".

უოლესმა იწინასწარმეტყველა ორი მილიარდი დოლარის დახარჯვა ყოველწლიურად სამხედრო სწავლებაზე, საზღვარგარეთ სამხედრო მისიების შენახვაზე და სხვ., რაც, მისი სიტყვით, ამერიკის შეერთებულ შტატებს უფრო ღრმა ეკონომიურ დეპრესიამდე მიიყვანს, ვიდრე 1933 წელს. უოლესი მტკიცედ მოითხოვდა, რომ უმჯობესია ეს ფული დახარჯონ საერთაშორისო ვაჭრობის დასახმარებლად „რიგითი ადამიანების" სასარგებლოდ და იმაზე, რომ ამერიკელ ახალგაზრდობას ასწავლონ „მშვიდობიანი დროის წარმტაცი მუშაობა, მიმართული სიცოცხლის გადასარჩენად და არა მის მოსასპობად".

ადგილგადანაცვლებულ პირთა ინგლისში გაგზავნის გეგმა

ლონდონი, 7 ივნისი. (საკდესი). ამ დღეებში გაზეთმა „მანჩესტერ გარდიანმა" გამოაცხადა, რომ 30 მაისს ლტოლვილების საქმეთა სამთავრობათაშორისო კომიტეტის მეშვიდე პლენარულ სესიაზე გენერალ-დირექტორმა ჰერბერტ ემერსონმა განაცხადა, რომ უახლოესი 12 თვის განმავლობაში ინგლისს გაიგზავნება 200-დან 300 ათასამდე ადგილგადანაცვლებული პირი. ამავე გაზეთის ცნობით, უკრაინული ეროვნების ადგილგადანაცვლებულ პირთა რიცხვმა, რომლებიც ვენეციიდან უკვე ჩავიდნენ ლივერპულს, 4 ათას კაცს მიაღწია.

ადგილგადანაცვლებულ პირთა, მათ შორის საბჭოთა მოქალაქეების ინგლისში გაგზავნის გეგმა, რასაც აშკარად და მოურიდებლად უწევენ პროპაგანდას, პირდაპირ ეწინააღმდეგება ინგლისის წარმომადგენლების მიერ არაერთგზის გამოცხადებულ მზადყოფნას, რომ ხელს შეუწყობენ ადგილგადანაცვლებულ პირთა დაბრუნებას სამშობლოში. ცხადია, ინგლისის გარკვეული წრეების ტენდენციები — იყოლიონ იაფი მუშახელი, ოფიციალურ დეკლარაციებზე უფრო ძლიერია.

გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მხარეების პრემიერ-მინისტრების კომუნიკე

ბერლინი, 8 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" გამოაქვეყნა ოკუპაციის საბჭოთა ზონის მხარეების პრემიერ-მინისტრების კომუნიკე, რომელიც მათ მიუნხენიდან წამოსვლის წინ გააკეთეს.

პრემიერ-მინისტრების მოლაპარაკების დროს მიუნხენში, ნათქვამია კომუნიკეში, საბოლოოდ უნდა შემუშავებულიყო კონფერენციის დღის წესრიგი. აღმოსავლეთის ზონის პრემიერ-მინისტრები დეპეშით დაარწმუნეს, რომ მათ შეეძლოთ დღის წესრიგში შეეტანათ თავიანთი ზოგიერთი სურვილი.

სამწუხაროდ, მიუხედავად ამ დარწმუნებისა, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პრემიერ-მინისტრებისათვის წარდგენილი დღის წესრიგი გამოცხადებულ იქნა უცვლელად.

აღმოსავლეთი ზონის პრემიერ-მინისტრებმა შეიტანეს ერთადერთი წინადადება — კონფერენციის ჩატარების მთავარ წინაპირობად დღის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო შემდეგი პუნქტი:

გერმანიის ცენტრალური მმართველობის შექმნა გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესახებ დემოკრატიული პარტიებისა და პროფკავშირების შეთანხმების შედეგად.

ეს წინადადება უსიტყვოდ უარყოფილ იქნა, და აღმოსავლეთი ზონის პრემიერ-მინისტრების ყოველგვარმა ცდამ აზრი გამოეთქვათ გერმანიის ერთიანობის შექმნის საკითხზე, აგრეთვე იმაზე, რომ გერმანელი ხალხის გაჭირვება შეიძლება მოსპობილ იქნას მისი ძალების ცენტრალიზაციის შედეგად, მარცხი განიცადა.

შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ფედერალური მხარეების — საქსონიის, ტიურინგიის, ბრანდენბურგისა და მეკლენბურგის პრემიერ-მინისტრებმა თავიანთი თვალსაზრისი ჩამოაყალიბეს გერმანიის მომავალი მოწყობის თაობაზე სახალხო რეფერენდუმის შესახებ.

ახლანდელი კონფერენციის მოწვევის ინიციატორს პრემიერ-მინისტრ ჰანს ეხარდს წინადადება მიეცა ჩაეტარებინა მოლაპარაკება ფართო დემოკრატიულ საფუძველზე ისე, რომ წინასწარ განეცხადებინა, რომ გერმანელი ხალხის ეკონომიური გაჭირვების ლიკვიდაცია შესაძლებელია არა პრემიერ-მინისტრთა შორის შეთანხმების გზით, ან საკავშირო სახელმწიფოს შექმნის გზით, არამედ მხოლოდ გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობის აღდგენის შედეგად.

ჩვენი წინადადებების უარყოფაში, — აღნიშნულია კომუნიკეში, — ჩვენ ვხედავთ ცდას საკავშირო სახელმწიფოთა წარმომადგენლობა მოხდარ ფაქტად დაგვანახვონ და ამით შემოიღონ ფედერაციული სახელმწიფოს სტრუქტურა, ე. ი. მიაღწიონ იმას, რის წინადადებასაც მოსკოვის კონფერენციაზე ამერიკის სახელმწიფო მდივანი იძლეოდა. გერმანიის ისტორიის უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე ჩვენ დავრწმუნდით, რომ გერმანიის დაქუცმაცება ცალკე სახელმწიფოებად გამოიწვევს ცალკე მოკავშირე სახელმწიფოების ან მოკავშირე სახელმწიფოთა ჯგუფების ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულებას დასავლეთ გერმანიის ძალებისაგან ან უცხოეთის მონოპოლიური კაპიტალისაგან.

როგორც წინათ, ისე ახლაც ჩვენ იმ აზრს ვიცავთ, რომ არა პრემიერ-მინისტრების კონფერენციას, არამედ მთელი გერმანელი ხალხის მხოლოდ სახალხო რეფერენდუმს გერმანიის ორგანიზაციის, გერმანიის ცენტრალური მთავრობის როლისა და ერთიანი გერმანიის ფარგლებში მხარეების მოვალეობათა შესახებ შეუძლია გადასჭრას ეს საკითხი.

ჩვენ საფუძვლად არ ვიღებთ ვაიმარის მთელ კონსტიტუციას, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ამ კონსტიტუციაში არსებული დებულებანი გერმანიის ცენტრალური მთავრობის ამოცანების შესახებ და მხარეების რწმუნებანი შეიძლებოდა გამხდარიყო დასაყრდენი პუნქტი გერმანიის მომავალი სტრუქტურისათვის.

შემდეგ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გერმანელი ხალხის ყველა წრეში გავრცელებულია ერთი აზრი: საჭიროა გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმა ხალხის გაჭირვების აღმოსაფხვრელად. ინგლის-ამერიკის ზონაში ამ მიზნის მიღწევას ცდილობდნენ ორზონალური გაერთიანებით. ამის შედეგი იყო კრიზისის გამწვავება ამ ოლქებში. ამრიგად, მთელი გერმანელი ხალხისათვის ცხადი გახდა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლია არა მხარეებისა და ზონების ფორმალურ გაერთიანებას, არამედ მხოლოდ ერთიან დემოკრატიულ გადაწყვეტილებას მთელი გერმანიისათვის. ხალხის გაჭირვების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს არა ზონალურ ან ორზონალურ საფუძველზე და არა მხარეების წარმომადგენლობათა შორის ფედერალისტური შეთანხმების შედეგად.

გადამწყვეტია, — ხაზგასმით აღნიშნულია კომუნიკეში,—ამ გაჭირვების მიზეზთა აღმოფხვრა. ჩვენი ხალხის მზარდი გაჭირვების ძირითად მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია მეტისმეტი შემწყნარებლობა ნაციზმის ელემენტებისადმი ხელმძღვანელ ეკონომიურ ორგანოებში და მსხვილი კონცერნების არსებობა, აგრეთვე მსხვილ მემამულეთა ბატონობა გერმანიის დიდ ნაწილში. ეგოისტური კლასობრივი ინტერესების ნაშთები აბრკოლებენ აღდგენის საქმეს. ჩვენი წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება გერმანიის დიდ პარტიებსა და პროფკავშირებს შორის გერმანიის მმართველობის ცენტრალური ორგანოების შესაქმნელად, რაც განხილულ უნდა იქნას როგორც მომავალი მთავრობის შექმნისათვის მზადება, შეესაბამება ერთიანობის ძლიერ ეროვნულ ნება-სურვილს. მმართველობის მხოლოდ ამ ორგანოებს შეუძლიათ ეკონომიკის ერთიანი დაგეგმვის გზით და ექსპორტისა და იმპორტის ფართო გეგმის შემუშავებით ხელი შეუწყონ გერმანიის ეკონომიკის განვითარებას იმდენად, რომ გერმანელი ხალხი უახლოეს მოკლე ვადაში მოიპოვებს უფრო მაღალ საარსებო დონეს, იმ ზარალის ანაზღაურებისათვის ვალდებულებათა გათვალისწინებითაც კი, რაც სხვა ხალხებს მიაყენა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გერმანიის მრეწველობის მიერ პროდუქციის გამოშვების გადიდება მშვიდობიანი მოხმარებისათვის წარმოადგენს გერმანელი ხალხის საარსებო დონის ამაღლების და ზარალის ანაზღაურების ვალდებულებათა შესრულების ძირითად პირობას.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, ნათქვამია კომუნიკეში, რომ, მიუხედავად ზონალური საზღვრებისა, ზონების ცენტრალურ ეკონომიურ სამმართველოთა შორის მიღწეულ იქნას შეთანხმება საქონელგაცვლის გაძლიერებისა და ამ საქონელგაცვლის განხორციელების პირობების გაადვილების შესახებ.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უცხოეთიდან ნედლეულისა და სურსათის შემოტანა. მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ჩვენი ხალხის მომავლის ხარჯზე. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ გამოვხატავთ მთელი ჩვენი ხალხის აზრს, როცა მოვითხოვთ გატარებულ იქნას ნათელი სამეურნეო ანგარიშიანობა გერმანიის ცენტრალური მმართველობისა და მომავალი მთავრობის ორგანოების მონაწილეობით. ამასთან ჩვენ ვაცხადებთ, რომ უცხოეთის კრედიტებმა საფრთხე არ უნდა შეუქმნან გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ჩვენ შეშფოთებით ვუცქერით იმას, თუ როგორ იყენებენ უცხოელი კრედიტორები ჩვენი ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას, რათა ხელში ჩაიგდონ გერმანიის საგარეო ვაჭრობა და მოახდინონ პოლიტიკური გავლენა.

ყველა ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ზამთარში გაჭირვების თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ და გერმანიის ყველა ოლქში მიღებულ იქნას ზომები ქვანახშირისა და სხვა საწვავი მასალების მოპოვების გასადიდებლად, ყველა ადგილობრივი რესურსის, როგორიცაა ტორფი, შეშა, საწვავი ფიქალი და სხვ., გამოსაყენებლად. მაგრამ საამისოდ საჭიროა ხალხს გადაეცეს სამთო მრეწველობის საწარმოები ისე, რომ ყოველმა მუშამ და ინჟინერმა იცოდეს, რომ იგი აღარ მუშაობს ბატონებისათვის კონცერნებიდან, რომლებმაც დახმარება გაუწიეს ჰიტლერს ხელში ჩაეგდო ძალაუფლება. ამავე დროს საჭიროა პროფკავშირებისა და საპარლამენტო კომისიების კონტროლით უზრუნველყოფილ იქნას სათბობის სამართლიანი განაწილება.

ჩვენი ხალხის სასურსათო მომარაგების გასაუმჯობესებლად უაღრესად საჭიროა მოსავლის სრული აღრიცხვა სასოფლო-სამეურნეო კომისიების დახმარებით, რომელთა შემადგენლობაშიც უნდა შევიდნენ დემოკრატიულად განწყობილი მეურნეები, გლეხები და მოქალაქეები.

მეურნეობის წარმოების ნაცისტური ძალდატანებათა მეთოდების ნაცვლად უნდა განხორციელდეს რეგულირებული გეგმაზომიერი შესყიდვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ამავე დროს გლეხებს მიეცეთ საჭირო საქონელი.

კომუნიკეში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საჭიროა პროდუქტებისა და საქონლის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა, მოსახლეობის მომარაგება საოჯახო ნივთებით, მომავალი წლის თესვის გეგმის შემუშავება. ჩვენს გამგებლობაში არსებული მხარეების გამოცდილებით ვიცით, აღნიშნულია კომუნიკეში, რომ პროგრესული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა დიდებით შედეგებს იძლევა. ჩვენს ოლქებში მიწის რეფორმის გზით უწინარეს ყოვლისა ლიკვიდირებულ იქნა საბოტაჟი მსხვილი მამულმფლობელებისა და ფაშისტი მოურავების მხრივ.

იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ კონცერნების მეთაურთა მცირე ჯგუფის ეგოისტურ ინტერესებს, განაგრძობს კომუნიკე, რომლებიც მეტწილად ამჟამადაც პასუხისმგებელნი არიან ეკონომიური გაჭირვებისათვის, საჭიროა კონცერნების მეთაურნი და ისეთი მეწარმეები, რომლებიც აქტიური ნაცისტები და სამხედრო დამნაშავენი იყვნენ, ექსპროპრიირებულ იქნან, ხოლო მათი საწარმოები ხალხს გადაეცეს, რათა შემდეგ სამართლიანად განაწილდეს მზა პროდუქცია და საქონელი. საჭიროა ყველგან ამ საქმეში მოზიდულ იქნან საწარმოო საბჭოები და პროფკავშირები.

ზემოთქმულის საფუძველზე, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, აღმოსავლეთი ზონის პრემიერ-მინისტრები იმ აზრისანი არიან, რომ პრემიერ-მინისტრები მოლაპარაკების დროს თავის ძირითად ამოცანად უნდა სთვლიდნენ არა იმის ძიებას, თუ როგორ გადაიჭრას გერმანიის საერთო პრობლემა მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე ან ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე. ბოლოს, საჭიროა ერთი მაგიდის გარშემო შეიკრიბონ დიდი დემოკრატიული პარტიები, რათა შეთანხმდნენ იმაზე, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ ღონისძიებათა მიღება გერმანიის ცენტრალური მმართველობის შესაქმნელად, ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გასატარებლად გაჭირვების აღმოფხვრისათვის და გერმანიაში დემოკრატიული პირობების შესაქმნელად. ამიტომ ჩვენ წინადადება შევიტანეთ ჯერ გაგვეხილა ეს ძირითადი საკითხები, რადგან ყოველგვარი სხვა საყრდენი პუნქტი მხოლოდ ქაოსს გამოიწვევს.

გაჭირვების ლიკვიდაციის გასაღებს წარმოადგენს გერმანიის ცენტრალური მმართველობის შექმნა და გერმანიის ეკონომიკისადმი ხალხის კონტროლის სრული განხორციელება.

ყოველგვარი მოლაპარაკება, რომელიც გვერდს უვლის ამ მთავარ პუნქტს, განწირულია ჩასაშლელად. ამიტომ ამ საკითხს ჩვენ ვაყენებდით მოლაპარაკების დასაყრდენ პუნქტად. შემდგომი განვითარება სავსებით ამართლებს ჩვენს თვალსაზრისს. რამდენადაც კონფერენციამ არ მოისურვა ემუშავნა ამ პრინციპების შესაბამისად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ვერ შევძლებთ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებას.

რკინიგზელთა გაფიცვა საფრანგეთში

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). რკინიგზელთა გაფიცვა საფრანგეთის თითქმის მთელ ტერიტორიას მოედო. სამგზავრო მოძრაობა მთლიანად შეჩერებულია, მაგრამ სურსათის შემოზიდვა უზრუნველყოფილია. საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტს არ შეუძლია უზრუნველჰყოს სამგზავრო მოძრაობა, რადგან თვითმფრინავებს, მაგალითად, შეუძლიათ დღეში გადაიყვანონ მხოლოდ 1.270 მგზავრი, მაშინ როცა რკინიგზების ყოველდღიური გამტარუნარიანობა 800 ათას კაცს შეადგენდა.

„ფრანს სუარი" აღნიშნავს, რომ ახლანდელი მდგომარეობა უპრეცედენტოა, რადგან რკინიგზის მოძრაობა საფრანგეთში არასოდეს არ ყოფილა მთლიანად შეჩერებული ორი დღე-ღამის განმავლობაში.

გაზეთები ფიქრობენ, რომ ყველაზე შემაშფოთებელ პრობლემას წარმოადგენს ქვანახშირის ეშელონების შეჩერება და საქონლის მატარებელთა თავმოყრა დამხარისხებელ სადგურებში. იმის გამო, რომ ქვანახშირის მარაგი საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და მრეწველობაში საკმაო არ არის, გაფიცვის განგრძობა სერიოზულ ჩაშლას გამოიწვევს წარმოებაში.

„სე სუარი" სწერს, რომ მთავრობის შეტევა რკინიგზელთა წინააღმდეგ ძლიერდება და რომ ტრანსპორტისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ჟიულ მოკი რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში ცდილობდა რკინიგზელების წინააღმდეგ აემხედრებინა მშრომელთა სხვა კატეგორიები, აგრეთვე განხეთქილება გამოეწვია თვით რკინიგზელთა შორის.

ჟაკ დიუკლომ ბაბეფის გარდაცვალების 150 წლისთავის გამო გამართული მანიფესტაციის დროს განაცხადა, რომ „მთავრობის მტრული პოლიტიკა მშრომელთა მოთხოვნებისადმი დამღუპველია ჩვენი ქვეყნისათვის. შეიძლებოდა და კიდევაც უნდა აგვეშორებინა თავიდან მშრომელთა გაფიცვა ნაცვლად იმისა, რომ ქედმაღლურად მოპყრობოდნენ მათს კანონიერ მოთხოვნებს... და ეს იმ მომენტში, როდესაც მთავრობამ ახლა მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გაიგოს გულგატეხილობა, ტანჯვა და შიში, რომლებითაც აღსავსეა ხალხის სული".

საბჭოთა ტანკისტების ნეშტის დაკრძალვა ბელგრადშ

ბელგრადი, 9 ივნისი. (საკდესი). 7 ივნ ბელგრადის [illegible] შესდგა ძმა საფლავში ამ 12 საბჭოთა ტანკისტის ნეშ საზეიმო დაკრძალვა, რომლებიც ბელგრა განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაეც დაკრძალვას დაესწრნენ სსრ კავშირის ელ ლავრენტიევი, სსრ კავშირის სამხედრო ატა გვარდიის გენერალ-მაიორი სიდოროვიჩი, ლაქის ხელისუფალთა, სახალხო ფრონტისა იუგოსლავიის არმიის წარმომადგენლები, რეთვე ბელგრადის მრავალი მოქალაქე.

საბჭოთა მეომრების ძმათა საფლავზე სი ყვები წარმოსთქვეს ელჩმა ლავრენტიევ ბელგრადის საქალაქო სახალხო კომიტეტის მასკომის თავმჯდომარემ ნინკო პეტროვიჩ იუგოსლავიის არმიის გენერალ-მაიორმა მარკ ნოვიჩმა და სახალხო ფრონტის წარმომად ნელმა აკადემიკოსმა ველკო პეტროვიჩმა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციი გენერალური საბჭოს სესიის გახსნა

პრაღა, 9 ივნისი. (საკდესი). დღეს პრაღა გაიხსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცი გენერალური საბჭოს სესია, რომელიც 6 დღ გასტანს. გენერალური საბჭოს სესია განიხ ლავს ფედერაციის გენერალური მდივნის მო სენებას ფედერაციის აღმასრულებელი ბიუ როსა და აღმასრულებელი კომიტეტის 18 თვ საქმიანობის შესახებ და მთელ რიგ სხვა ს კითხებს. გარდა გენერალური მდივნის მოხს ნებისა, სესია მოისმენს და განიხილავს ფედ რაციის იმ კომისიების მოხსენებას, რომლებ იყვნენ საბერძნეთში, იაპონიაში, ირანსა ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. სესია აგრეთვე გ ნიხილავს ესპანეთის, სამხრეთ ამერიკის ქვე ნებისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დემო რატიული პროფკავშირული მოძრაობის პრობ ლემებს. სესიის დღის წესრიგშია აგრეთვე ს კითხი ფედერაციასთან საწარმოო განყოფილ ბათა შექმნის შესახებ და სხვა საკითხები.

სესია გახსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფე დერაციის თავმჯდომარემ არტურ დიკინმა.

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი ს იანმა წარმოსთქვა შესავალი სიტყვა თავისი მო ხსენებისა ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ რაც დაბეჭდილი დაურიგდა ყველა დელე გატს. საიანმა ხაზგასმით აღნიშნა მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის გა მტკიცების ფაქტი და განაცხადა, რომ მსოფ ლიო ფედერაციაში 60 ქვეყნის 71 მილიონ მეტი კაცი ითვლება. საიანის სიტყვის შემდ დაიწყო კამათი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი პროტესტს უცხადებს ირანის მთავრობას

პრაღა, 9 ივნისი. (საკდესი). პროფკავშირ თა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გაუ ზავნოს პროტესტი ირანის მთავრობას ირან პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს თავ მჯდომარის რუსტას დაპატიმრების გამო. აღ მასრულებელი კომიტეტი მოითხოვს, რომ ირა ნის მთავრობამ უზრუნველჰყოს რუსტას სიცო ხლე და რომ პროცესის დროს რუსტას დაც მიენდოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერა ციის მიერ დანიშნულ ადვოკატს.

ანტისაბჭოთა პროვოკაციები იტალიაში

პარიზი, 7 ივნისი. (საკდესი). ადგილობრი ჟურნალისტთა წრეებში ყურადღებას აპყრობე ამ გარემოებას, რომ უკანასკნელ დროს დ გასპერის მთავრობასთან ახლომდგომმა იტალიურმა გაზეთებმა, მათ შორის „მესაჯეროშ", „ტემპომ", „რისორჯიმენტო ლიბერალემ" დ სხვებმა, კვლავ დაიწყეს წინათ მხილებულ პროვოკაციული კამპანია, თითქოს საბჭოთა კავშირში კვლავ არიან იტალიელი სამხედრო ტყვეები. ამ ჭორებისათვის დამაჯერებლობის მისაცემად გაზეთები თხზავენ სამხედრო ტყვეების ჩვენებას, რომლებიც თითქოს „ოდესიდან გამოიქცნენ" და სხვ.

იტალიელ ხელისუფალთა წაქეზებით იტალიის ზოგიერთ ქალაქში მოაწყეს პარაკლისები „რუსეთიდან სამხედრო ტყვეების დაბრუნების შესახებ", თუმცა დე გასპერის მთავრობამ კარგად იცის, რომ ყველა იტალიელი სამხედრო ტყვე უკვე გასული წლის ბოლოს მთლიანად რეპატრიირებულ იქნა საბჭოთა კავშირიდან.

ცხადია, აურზაური „სამხედრო ტყვეების" გარშემო იმისათვის დასჭირდათ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ იტალიის ახლანდელი მთავრობის შინაპოლიტიკურ მანევრებს, მთავრობისა, რომელიც უცხოეთის მონოპოლისტური წრეების დამოკიდებულებაში მოექცა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

12 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაკებისათვის შესდგება დოცენტ **ი. მელქაძის** ლექცია თემაზე: **„ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა".**

ლექცია

12 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ზეთაგუროვის ქ. № 2) შესდგება ამხ. **გრიგოლიას** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„დავით აღმაშენებელი".**

შესვლა თავისუფალია.

თეატრებში

11 ივნისს: ფალიაშვილის სახელობის — „კარმენი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ურიელ აკოსტა"; **გრიბოედოვის სახელობის** — „სტალინგრადიდან დაშორებით"; **მუსიკალური კომედიის** — „აზნაურები"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „შემოსავლიანი ადგილი".

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

11 ივნისს

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15 — ლიტერატურული გადაცემა. ნაწყვეტი ა. ქუთათელის მოთხრობიდან „ქორწილი".

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე. 18.00 — ფეხბურთის მატჩის ტრანსლაცია თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.30 — კამერული მუსიკის კონცერტი. 20.45 — ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის თბილისის განყოფილების უფროსის, მოძრაობის დირექტორ-პოლკოვნიკის ამხ. კ. პაიჭაძის საუბარი თემაზე: „მზრუნველობით მოვეპყროთ მგზავრებს". 21.05 — კონცერტი საქართველოს ფილარმონიის სოლისტის ანდრონიკაშვილის შესრულებით. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა: ტარას შევჩენკოს ლექსები. 23.00 — კონცერტი.

1 ივნისიდან ქ. თბილისში დაიწყო მეცადინეობა **სახელმწიფო კაპელამ.**

კაპელაში **გრძელდება** მომღერალ ქალთა და ვაჟთა მიღება. მსურველთ განცხადების შემოტანა შეუძლიათ ყოველდღე დღის 10-დან 12 საათამდე. მისამართი—ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 23. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუსიკალური განყოფილება.

დირექცია

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1947-48 სასწავლო წლისათვის სტაციონარისა და დაუსწრებელი განყოფილების სამშენებლო, ხიდთა და გვირაბთა, მექანიკურ და საექსპლოატაციო ფაკულტეტებზე. სწავლის ვადა 5 წელია.

ინსტიტუტს აქვს ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სექტორები. აზერბაიჯანულ სექტორზე განცხადებათა მიღება და მეცადინეობა სწარმოებს ქ. ბაქოში, „აზნის" შენობაში. ინსტიტუტში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლის ასაკისა.

უგამოცდოდ მიიღებიან ის პირნი, რომელნიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოებული არიან ოქროს ან ვერცხლის მედლით, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილენი, რომლებმაც საშუალო სკოლა ფრიადოსნად დაამთავრეს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ წელს აქვთ სკოლა დამთავრებული.

სამამულო ომის მონაწილეებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ სამხედრო კომისარიატისაგან მიცემული ცნობა, სადაც აღნიშნული უნდა იყოს მობილიზაციისა და დემობილიზაციის დრო.

ყველა დანარჩენმა პირმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, რუსული ენა, ლიტერატურა, უცხო ენა და დედაენა.

სამშენებლო და ხიდებისა და გვირაბების ფაკულტეტზე შემსვლელნი, მათ შორის მედლებით დაჯილდოებულნიც, გამოცდას აბარებენ ხაზვასა და ხატვაში და თავისუფალი არიან ქიმიაში გამოცდისაგან. ინსტიტუტის უფროსის სახელზე შეტანილ განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სანტიმ.), 4. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ.

პასპორტი უნდა წარმოადგინონ პირადად.

სტაციონარში მისაღები გამოცდები იწარმოებს ა. წ. 1-დან 20 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე 1-დან 10 სექტემბრამდე.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მსურველთ მიღება ასაკის განუსაზღვრელად, მაგრამ სავალდებულოა წარმოადგინონ ცნობა რკინიგზის ტრანსპორტზე მუშაობის შესახებ.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და მუშის სასურსათო ბარათით.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი გზისა და მშენებლობის III რანგის გენერალ-დირექტორი კობახიძე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 21 ივნისს, საღამოს 7 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **კონსტანტინე სამსონის-ძე ნიკოლაიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სსრ კავშირის საკრედიტო ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან".**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნ. ქოიავა**, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ა. გოკიელი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **გიორგი ალექსის-ძე ტარიელაშვილმა**, მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 305, აღძრა საქმე ბახმაროს ქ. № 32 მცხოვრებ მოქალაქე **ნინო გიორგის ასულ ტარიელაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

ძმები ვლადიმერ, ვასილ, რძლები მარიამ, მინადორა შვილებით ქელბაქიანები იუწყებიან **ნიკოლოზ დარისპანის-ძე ქელბაქიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-VI, 8 ს. გამოსვენება 12-VI, 6 ს. გროზნოს შესახვევი, 4.

მეუღლე დავით შავგულიძე, იაშა, ლიდა თოიძეები, კონდრატი, მარო გოგუა, გიორგი, ნინო ანდრიაძეები იუწყებიან **ანა ზეხარიონის ასულ შავგულიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-VI, 8 ს. გამოსვენება 12-VI, 5½ ს. მოსკოვის, 11.

მეუღლე მარო, შვილები ვახტანგ, ქეთო, ცისანა, ჯემალ, დები მერი, ფეფელა ოჯახით იუწყებიან **ანდრო ლუკას-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-VI, 8 ს. გამოსვენება 12-VI, 5 ს. ჩუღურეთის შესახვევი 10.

მშობლები მარგარიტა და შალვა ჰელიძეები, ძმა იოსებ იუწყებიან **დიანა შალვას ასულ ჰელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-VI, 8 ს. გამოსვენება 13-VI, ვეძინის, 34.

დედა ლიზა, ძმები გიორგი, ზაალ, დები ეკატერინე, ნატალია ოჯახებით იუწყებიან **თამარ ალექსანდრეს ასულ გუგუშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-VI, 7 ს. გამოსვენება 12-VI, 5½ ს. ყაზბეგის, 8.

სიდედრი მელანია შვილებით: ნინო, თამარ, ქვისლები ირაკლი მესხი, ნიკოლოზ ჟუჟუნაშვილი შვილებით, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ნუცა მახაბელი იუწყებიან **გიორგი ილიას-ძე ფერაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00199